

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

თეიმურაზ მაისურაძე

კომერციული ბანკების განვითარება და საკრედიტო რისკების შეფასება
თანამედროვე ეტაპზე

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ მეცნიერებათა,

ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლეილა მამულაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

2019 წელი

ანოტაცია

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საფინანსო სექტორს. იგი ასრულებს შუამავლის ყველაზე ეფექტურ როლს კრედიტორებსა და მსესხებლებს შორის. კომერციული ბანკების ან საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლების პრობლემები მყისიერად აისახება დანარჩენ ეკონომიკის ნაწილზე. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო აუცილებელია რისკების მუდმივი მონიტორინგი საფინანსო სექტორში.

კომერციული ბანკის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია მეტი მოგების მიღება, რაც შეზღუდულია იმ შესაძლო რისკებით, რომლებიც თან სდევს საბანკო საქმიანობას. რისკის დონე იზრდება მაშინ, როცა პრობლემები ჩნდება მოულოდნელად და ბანკი არ აღმოჩნდება მზად მის დროულად და მაქსიმალურად გასანეიტრალებლად. სასურველი მოგების მიღება კომერციულ ბანკში შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მოსალოდნელი დანაკარგების ალბათობა წინასწარაა შესწავლილი, გათვლილი და დაზღვეული. საჭიროა საბანკო რისკების კარგად ცოდნა, კონტროლი და მართვის შესაბამისი მექანიზმების არსებობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა საფინანსო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფა. კომერციული ბანკები, რომლებიც წარმოადგენენ საფინანსო სექტორის ძირითად რგოლს საქართველოში, იღებენ რა დეპოზიტებს მოსახლეობისა და კომპანიებისაგან, ახორციელებენ მათ შემდეგ გადასესხებას სხვა შინამეურნეობებსა და საწარმოებზე. ამავე დროს, კომერციული ბანკების მეშვეობით ხორციელდება უნაღდო ტიპის ყოველგვარი ანგარიშსწორება ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ.

საბანკო რისკები სამომავლო ეკონომიკური საქმიანობის შედეგების განუსაზღვრელობასთანაა დაკავშირებული, რომლებზეც შეიძლება სხვადასხვა განსხვავებულმა გარემოებებმა მოახდინონ ზემოქმედება, დაწყებული სტიქიური უბედურებებიდან და საპროცენტო განაკვეთებზე, სავალუტო კურსებზე, აქტივების საბაზრო ღირებულებაზე ზემომქმედი სხვადასხვა საგარეო ეკონომიკური ზემოქმედების სხვა ფორს-მაჟორული გარემოებებიდან და დამთავრებული შიდა

გარემოებებით (ბანკის მენეჯმენტისა და პერსონალის არაკეთილსინდისიერება ან მცდარი ქნედებები, ინფორმაციული და ტექნოლოგიური სისტემების გაუმართაობა და ა.შ.)

ნაშრომში კომერციული ბანკის ფინანსური რისკების შემდეგი კლასიფიკაციაა შეთავაზებული: საკრედიტო რისკი; საბაზრო რისკი; ფასობრივი რისკი - საბანკო ტარიფების ცვლილების; საოპერაციო რისკი; ბიზნეს-რისკი. საკრედიტო ორგანიზაციას ბიზნესის განვითარებისათვის შეუძლია განვითარების სტრატეგიაში - არსებითი რისკების მიმდინარე და მოსალოდნელ სტრუქტურის, არსებითი და მოსალოდნელი რისკების გადაფარვისათვის საჭირო კაპიტალის მიზნობრივი დონის ზღვრული მნიშვნელობები დაადგინოს. ბანკებმა საკუთარი ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფისათვის საკუთარ სახსრებსა და თავისთავზე აღებადი რისკების ერთობლივ სიდიდეს შორის შესაბამისობა უნდა შეინარჩუნონ.

საკრედიტო ორგანიზაციების მიერ მოცემული რისკის სახეობის შეფასების მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებაა რეკომენდირებული, სადაც ჩართული უნდა იქნას: რისკის შეფასებისათვის გამოყენებადი მონაცემთა ნაერთი და წყაროები, სტრეს-ტესტირების ჩატარების მეთოდოლოგია, საკრედიტო ორგანიზაციის მიერ რისკის შემცირებისათვის გამოყენებადი მეთოდები.

ნაშრომში განხილულია საკრედიტორისკი, მისი შეფასების ინსტრუმენტები და საკრედიტო რისკის შემცირების გზები, ნაჩვენებია საქართველოში არსებული პრაქტიკა და მოცემულია გარკვეული რეკომენდაციები.

RESUME

T. Maisuradze

The development of commercial banks and credit risks at the present stage

The financial sector is of great importance to the country's economy, since it plays the role of the most effective mediator between creditors and borrowers. In contrast to ordinary companies, the problems of commercial banks or other financial sector will be reflected in the rest of the economy. Therefore, it is necessary to monitor the financial sector's risks.

One of the main principles of commercial banking activity is to get as much profit as possible. This aspiration is limited by possible risks accompanied by banking activity. Of course, their scale and negative impact are different. The risk level increases when the problems arise suddenly and the bank will not be ready to timely and neutralize it. Finally, it can be said that receiving the desired profit is possible only in the commercial bank only when the probable risks or probable losses are predetermined, calculated and insured. This may only be possible if the banking risks are well equipped with knowledge, control and management.

One of the main functions of the National Bank of Georgia is to ensure the stability of the financial system. The financial sector is of great importance to the country's economy, since it plays the role of the most effective mediator between creditors and borrowers. For example, commercial banks, which constitute the main sector of the financial sector in Georgia, receive deposits from the population and companies, then transfer them to other households and enterprises. At the same time, through any commercial banks, any non-cash type of payment is carried out both inside and outside the country. Consequently, unlike ordinary companies, the problems of commercial banks or other financial sector will be reflected in the rest of the economy. Therefore, it is necessary to monitor the financial sector's risks as a separate institution of financial institution as well as the entire sector.

Bank risks of uncertainty of future economic performance are linked, which may be

different in different circumstances exert influence, ranging from natural disasters and on interest rates, exchange rates, the market value of assets on the economic impact of external pressure For other S-majeure circumstances and ending the internal circumstances, such as the bank's management and staff dishonesty or shetsdomiani knedebebi, information systems and technological malfunctions,etc.

The next classification of the financial risks offered by the author, based on the interrelation between the financial risk factors and elements of the bank's profit, is offered: credit risk; Market risk (stock, currency, and risk risks); price risk - changes in bank tariffs; Operational risk; Businessrisk).

The Credit Organization is able to develop business (transactions, transactions) in the development strategy - to determine the marginal value of the target targeted capital for the current and expected structure of the essential risks, overlapping the essential and expected risks. Strategic limits are in relation to investing and attracting financial resources, which imply restrictions on the bank's risks to the extent of the irfundsallocated for the sepurposes in respect of investments and attracting financial resources according to different directions of activity.

Banks must maintain their financial stability and maintain their compliance with the joint value of their own and the risk of taking into account their own financial stability. Traditionally expressed in the need for the protection of the standard of capital. But modern banking practices, including the recent global financial crisis with capital adequacy standards in the evaluation of the approaches to the imperfect, because many banks are capital requirements of the Basel agreements formal guarded, often clients and investors own the liability is not expected Lobby faced.

Credit organizations' capital adequacy assessment of the internal procedures of the organization with respect to the guidelines, the credit risk of each species to the essential, the risk khakheobis shpasebis (determining the capital requirement) is to establish a methodology rekmendirebuli, which should be involved Forbid: risk assessment and compound usable data sources, stress testing methodology, the organization's credit risk reduction methods used. Large credit organizations that use internal models for risk assessment are more effective

methods for estimating the joint value of capital required for credit organizations, such as: the use of the methodology for determining economic capital is better. For credit organizations that use the methodology for determining economic capital, it is recommended that universal methods of quantitative evaluation of risks are used.

The paper deals with credit risk, its valuation tools and credit risk reduction, showing current practices in Georgia and some recommendations.

შინაარსი

ანოტაცი ა	2
შინაარსი	7
შესავალი	8
თავი 1. საბანკო რისკების არსი და სახეები თანამედროვე ეტაპზე	10
1.1. რისკები საბანკო სფეროში, მათი გამოვლენა და მართვა	10
1.2. საბანკო რისკების დახასიათება და კლასიფიკაცია	14
თავი 2. საკრედიტო რისკი	27
2.1. საკრედიტო რისკის მნიშვნელობა	27
2.2. საკრედიტო რისკზე მოქმედი ფაქტორები	30
თავი 3. საკრედიტო რისკების მართვა კომერციული ბანკებში და მისი მინიმიზაცია	35
3.1. საკრედიტო რისკების მართვა	35
3.2. საკრედიტო რისკის შეფასების ინსტრუმენტები	42
3.3. საკრედიტო რისკების მართვის მეთოდების გაუმჯობესების გზები	57
დასკვნა	59
გამოყენებული ლიტერატურა	62

შესავალი

საკვლევი პრობლემის სფეროა კომერციული ბანკების საკრედიტო რისკები, მისი იდენტიფიკაცია და მონიტორინგი, მინიმიზაციის მიმართულებები. თანამედროვე საზოგადოება გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს ბანკებს მათ საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებით. ბანკების მუშაობა უნდა იყოს მაღალეფექტიანი. ამასთან დაკავშირებით აქტუალურია ბანკის საფინანსო საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება. უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში არ არსებობს ერთიანი მიდგომა ეფექტიანობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ეკონომიკურად მაღალ განვითარებულ ქვეყნებში ეფექტიანობა განისაზღვრება ბანკის აქციების ფასის ან ბიზნესის ფასის ზრდით, ხოლო ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, ეფექტიანობის შეფასება შესაძლებელია ისეთი მაჩვენებლების საშუალებით, როგორც არის მომგებიანობა და რენტაბელურობა. გარდა აღნიშნულისა, თანამედროვე საბანკო სექტორი ხასიათდება მომატებული კონკურენციით და გლობალური კრიზისების არსებობით. ამ შემთხვევაში ეფექტიანობის შეფასება კონცენტრირებულია ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის შეფასებაზე. თავის მხრივ, ბანკების მდგრადობა და საიმედოობა ძლიერ არის დამოკიდებული კაპიტალის სტრუქტურაზე და მის საკმარისობაზე რისკების დასაფარად, ბალანსის ლიკვიდურობის დონეზე, აქტივების სტრუქტურაზე და ხარისხზე, რისკების მართვის პოლიტიკაზე, რისკ-მენეჯმენტის ორგანიზების ხარისხის კონტროლზე. იმისათვის, რომ გადარჩნენ მომატებული კონკურენციის პირობებში ბანკებს უწევთ ახალი მომსახურებების შეთავაზება საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, რომელსაც, რა თქმა უნდა, თან სდევს რისკები, რომელთაც შეუძლიათ კომერციულ ბანკს წარმატება მოუტანოს ან პირიქით, რისკების არასათანადო გათვლამ და გააზრებამ, ფინანსურად სერიოზულად დააზარალოს ბანკი.

რაც არ უნდა ვთქვათ, ნათელია, რომ კომერციული ბანკის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია, რაც შეიძლება მეტი მოგების მიღება. აღნიშნული მისწრაფება შეზღუდულია იმ შესაძლო რისკებით, რომლებიც თან სდევს საბანკო საქმიანობას, ამიტომ ბანკი ცდილობს, გვერდი აუაროს ამ რისკებს ან მინიმუმამდე შეამციროს ისინი, ანუ მინიმუმამდე შეამციროს შესაძლო დანაკარგები. მეორე მხრივ,

რაც უფრო რისკიანია ოპერაცია, მით უფრო მაღალია შესაძლო მოგების მიღების ალბათობა. ამის საპირისპიროდ, რაც ნაკლებია რისკი, მით ნაკლებია მაღალი მოგების მიღების ალბათობა. სწორედ ამიტომ, სხვადასხვა ალტერნატიული შესაძლებლობიდან იმ ვარიანტის არჩევა, რომლის დროსაც ნაპოვნი იქნება რისკიანობისა და შემოსავლიანობის ოპტიმალური შესაბამისობა, არის ბანკის მენეჯმენტის უმთავრესი მოვალეობა. აღნიშნული კი შესაძლებელია მხოლოდ საბანკო რისკების კარგად ცოდნის, კონტროლისა და მართვის შესაბამისი მექანიზმების არსებობის შემთხვევაში.

საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული კომპლექსური რისკების ზრდამ განაპირობა გამართული კორპორაციული მართვის აუცილებლობა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ბანკის მენეჯმენტის, პოლიტიკისა და პროცედურების აქტიურ ზედამხედველობას, რისკების შეფასებასა და დადგენას, მათი ლიმიტების განსაზღვრას, მათი მონიტორინგის დაწესებას, საინფორმაციო სისტემების, რისკების კონტროლისა და შიდა კონტროლის სისტემების დანერგვას.

ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს კომერციული ბანკის საკრედიტო რისკის შეფასებისა და მართვის მეთოდებისა და ბანკის საქმიანობაში რისკ-მენეჯმენტის ინტეგრაციის პროცედურების შემუშავება.

ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძველი - წარმოადგენს დიალექტიკური მეთოდის გამოძიებას, თეორიული ასპექტების თემაზე, სისტემური მიდგომა სასწავლო პროცესებისა და მოვლენებისადმი, ეკონომიკურ-მათემატიკური, სტატისტიკური, სოციოლოგიური და მარკეტინგული მეთოდების შესწავლა გამოყენებითი ასპექტების თემაზე.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. სამაგისტრო კვლევის მსვლელობაში მიღებული დასკვნები, საკრედიტო რისკის შეფასების, მისი მართვის მეთოდების სრულყოფის მოდელებისა და ერთობლივი ფინანსური რისკის მართვის პროცედურების დაზუსტების ნაწილში, რისკ-მენეჯმენტის თეორიას აწვითარებენ. კვლევის პრაქტიკულ მნიშვნელობა კომერციული ბანკის მიერ მართვის პროცესებში მიღებული შედეგების გამოყენების შესაძლებლობაში და კაპიტალის საკმარისობის შეფასების შიდა პროცედურების ჩარჩოებში მისი საქმიანობის რეგულირებაში მდგომარეობს. პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია კვლევის მსვლელობაში

შემუშავებულ საკრედიტო რისკის შეფასების და მინიმიზაციის მეთოდებს, რომელთა განვითარება საბანკო ზედამხედველობასთან მიმართებაში ბაზელის კომიტეტის მიერ არის რეკომენდირებული.

თავი 1. საბანკო რისკების არსი და სახეები თანამედროვე ეტაპზე

1.1. რისკები საბანკო სფეროში, მათი გამოვლენა და მართვა

საბანკო საქმე, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, მეტად რისკიანი საქმეა, სადაც უამრავი საფრთხეა ჩასაფრებული. ამიტომ საბანკო მენეჯმენტის მთავარ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ამ საფრთხეების ცოდნა, აღმოჩენა, იდენტიფიკაცია და კონტროლი.

ზოგადად, საბანკო რისკი - ესაა იმის ალბათობა, რომ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ მოვლენას, რომელიც განსხვავდება მოლოდინისგან (დაგეგმილისაგან) და უარყოფითად იმოქმედებს ბანკის ფინანსურ მაჩვენებლებზე. საბანკო რისკების განმარტების სხვადასხვა ინტერპრეტაცია არსებობს. მათ შორის ალბათ ყველაზე სრულია შემდეგი: საბანკო რისკი არის მომავალში ფულად ნაკადებთან დაკავშირებული გაურკვეველობა, დანაკარგებისა და დაუგეგმავი ხარჯების გაწევის, ასევე დაგეგმილი შემოსავლების ვერ მიღების ალბათობა საბანკო ოპერაციების განხორციელებისას.¹

რისკი გამოიხატება ბანკისათვის არასასურველი შიდა და გარე გარემოებების შემოტევასა და კონცენტრირებაში, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მოგების დაკარგვა, მნიშვნელოვანი ზარალი, რესურსული ბაზის შემცირება, ლიკვიდობის დაკარგვა და ყველაზე უარეს შემთხვევაში - გაკოტრება.

რისკი ბანკირისათვის ნიშნავს განუსაზღვრელობას, რომელიც დაკავშირებულია რაღაც გარემოებასთან. მაგალითად, გააგრძელებს თუ არა კლიენტი მასზე გაცემული კრედიტით სარგებლობას? გაიზრდება თუ არა მომავალ თვეში დეპოზიტების მოცულობა? გაიზრდება თუ არა აქციის ფასი და მისი მოგება?

¹ კოვჩანაძე ი., კონტრიძე გ., „ თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა“, თბილისი 2014, 548 გ

როგორი იქნება საპროცენტო განაკვეთების ცვლილება მომავალ თვეში და იმოქმედებს თუ არა საბანკო მოგების სიდიდეზე?²

„რისკი წარმოადგენს მომავლის გაურკვეველობის შედეგს. რისკების გაგება სხვა არაფერია, თუ არა მისგან თავის არიდების აუცილებლობა. ყოველთვის ფინანსური რისკი კომპენსაციას მოითხოვს, რის გამოც ხშირად ეს კომპენსაცია „რისკი-შემოსავლის“ თანაფარდობის სახით წარმოგვიდგება. ფინანსური რისკი სამეურნეო საქმიანობასთან ან მის შედეგებთან დაკავშირებული გაურკვეველობაა.“³

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის გამოცდილება იმაზე მიგვანიშნებს, რომ კომერციული საბანკო სისტემა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სისტემაა, ურომლისოდაც შეუძლებელია ეროვნული ეკონომიკის აღმავლობა. სწორედ ამიტომ რისკის მართვა ბანკებში სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანაა, თუნდაც იმიტომ რომ დღევანდელი რისკი ხვალინდელი პოტენციური დანაკარგია.

ფინანსურ ურთიერთობებში რისკი და შემოსავალი ერთი და იმავე პროცესის ორი მხარეა. ძალიან ადვილია გაასესხო თანხა და მიიღო შემოსავალი რისკიანი მსესხებლისგან, მაგრამ ყოველთვის გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ ოპერაციას აქვს ფასი და ეს ფასი სწორედ გაწეული რისკია, რომელიც გაცილებით მაღალი შეიძლება იყოს იმ საბანკო დაწესებულების რისკთან შედარებით, რომელიც უფრო ფრთხილ და გონივრულ საკრედიტო პოლიტიკას ატარებს, რაც გამოიხატება რისკების ლიმიტირებაში.

საბანკო რისკების ფაქტობრივი კონტროლი წარმოადგენს ახლო პერსპექტივაში ბანკის მოგებიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს.

² ბერიძე რ., „საბანკო მენეჯმენტი“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2009, 363 გვ

³ რ.კაკულია, გ.ხელაია „ფულის მიმოქცევისა და კრედიტების ზოგადი თეორია“ - გამომცემლობა „ესპსკი“, თბილისი 2003, 354 გვ.

რისკების მიღება - საბანკო საქმიანობის საფუძველია. ბანკში წარმატებას აღწევინ მხოლოდ მაშინ, როცა მათ მიერ მიღებული რისკები გონივრულია,

კონტროლირებადია და იმყოფება მათი ფინანსური შესაძლებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში.

აქტივები უნდა იყოს საკმაოდ ლიკვიდური იმისათვის, რომ დაფაროს სახსრების ნებისმიერი გადინება, ხარჯები, ზარალი და იმავდროულად უზრუნველყოს აქციონერებისათვის დასაშვები მოგების სიდიდე. ამ მიზნების მიღწევა ბანკის პოლიტიკის საფუძველია, რისკების მიღებისა და მათი მართვის შესახებ გადაწყვეტილებების გაკეთების დროს.

ეროვნული ბანკის მხრიდანაც აქტუალურია საბანკო რისკებზე კონტროლი და მისი მართვის პროცესი, რადგანაც ის ახდენს საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის რეგულირებას საფინანსო ბაზრებზე.

რამდენადაც საბანკო საქმის ძირითადი შინაარსი და როლი - ესაა მოზიდული სახსრების საიმედოობა და ამ სახსრების განლაგება გონივრული პოლიტიკის საფუძველზე, ყველა სხვა მომსახურება მეორად ხასიათს ატარებს. აქედან გამომდინარე, ბანკში ყოველთვის უნდა იყოს საკმარისი სახსრები მეანაბრეთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, რომლებსაც სურთ მათი ამოღება, აგრეთვე მევალეთა მოთხოვნებისათვის - ისარგებლონ სახსრებით გონივრულ ფარგლებში.

ამრიგად, კლიენტები (მეანაბრები) და მარეგულირებელი ორგანოები გამოდიან ორი ძირითადი ვარაუდიდან:

- რომ, ბანკში დაბანდებული სახსრები შეინახება და არსებობს, ლიკვიდობს აუცილებელი დონისა და რისკების დივერსიფიკაციის საშუალებით;
- რომ, რისკი, რომელიც არის ნებისმიერი კომერციული საქმიანობის განუყოფელი ნაწილი ბანკისათვის უნდა იყოს მინიმალური.

ექვს არ იწვევს, რომ რისკების იგნორირება არ შეიძლება, მაგრამ შეიძლება შემცირება. ესეიგი აუცილებელია, რომ ბანკის საქმიანობის შედეგი უნდა იყოს ოპტიმალური თანაფარდობის დაცვა - კრედიტებს, დეპოზიტებს, სხვა ვალდებულებებსა და საკუთარ კაპიტალს შორის. ამ დროს ეროვნული ბანკის ამოცანაა, შექმნას წინაპირობები მთლიანი საბანკოსისტემის

სტაბილური ფუნქციონირებისათვის და საკრედიტო ორგანიზაციის კონტროლისათვის (გარე კონტროლი), მაშინ როცა ცალკეული ბანკის ამოცანა უნდა იყოს შეწონილი ფინანსური პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მოგების მიღებას, რაც საკმარისი იქნება მინიმალური რისკით კაპიტალის მოზიდვისათვის რეგიონში კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით (შიდაკონტროლი).

კომერციული ბანკის ეფექტური მუშაობა რისკისა და შემოსავლის სწორად შერჩეულ თანაფარდობაზე არის დამოკიდებული. რისკი ყველა სახის აქტიური და პასიური ოპერაციებიდან მოსალოდნელი შემოსავლის ნაირსახეობასთან არის დაკავშირებული და იგი იმის ალბათობას წარმოადგენს, რომ ეკონომიკურმა პრობლემებმა ბანკის საქმიანობის მაჩვენებელზე და ფინანსურ მდგომარეობაზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს. ამიტომ ბანკის ოპერაციების დაგეგმვისას, თითოეული სახეობის აქტიური ოპერაციისა და რესურსების მოზიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობის სარგებლიანობა და დანახარჯები უნდა იქნეს განსაზღვრული, რომლებიც ბანკის მიზნების მიღწევისა და ამოცანების შესრულებისთვის ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის დაცვისათვის არის აუცილებელი.

ბანკში რისკის მართვის სისტემებისა და მეთოდების დანერგვა არა მარტო კომერციული ბანკისათვის არის მნიშვნელოვანი, არამედ მარეგულირებლების პრიორიტეტიცაა, რადგან მათი მთავარი მიზანია სისტემური რისკის მართვა. სისტემური რისკი გულისხმობს მთლიანად საბანკო სფეროს სტაბილური და მდგრადი განვითარების დარღვევას. ამ შემთხვევაში ერთი ბანკის ფინანსურმა პრობლემებმა შეიძლება გამოიწვიოს სისტემური სახის პრობლემები. ბანკების ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირმა შეიძლება გადამდები ეფექტი მოახდინოს სხვებზეც და თუნდაც ერთი ბანკის გაკოტრებას შეიძლება მოჰყვეს საბანკო სისტემისადმი ნდობის დაკარგვა. ამიტომაც ამ დარგის მენეჯმენტი მოვალეა დააწესოს ისეთი „თამაშის წესები“ და მიიღოს ისეთი ნორმატივები, რომლებიც

აიძულებს ბანკებს გამოიყენონ რისკის მართვის ოპტიმალური მეთოდები, რითაც მიღწეული იქნება კომერციული ბანკის ეტაპობრივი და სტაბილური განვითარება.

კომერციული ბანკის მესაკუთრეებისა და მენეჯმენტის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

- საბანკო ინდუსტრიის სტაბილური განვითარება;
- ბანკებში რისკების მიხედვით კაპიტალის მოთხოვნის დაწესება;
- ბაზარზე „თამაშის წესების“ უზრუნველყოფა;
- აღნიშნულ ქმედებებზე ზედამხედველობის განხორციელება.

ტრადიციულად ბანკის მესვეურები აღნიშნული ფუნქციების

განსახორციელებლად იყენებენ კონსერვატიულ მიდგომას, რასაც ხშირად მივყავართ ლიმიტირებულ კონკურენციასთან, იმის გამო, რომ ბაზრის ყველა მოთამაშეს არ გააჩნია ერთნაირი შესაძლებლობები. ასე მაგალითად, კომერციული ბანკებისა და შემნახველი დაწესებულებების ერთმანეთისგან გამოყოფა. თუმცა, თანამედროვე ეპოქაში ინოვაციების გააქტიურებასთან ერთად აღნიშნული წესებიც ნელ-ნელა იცვლება, რაც კომერციულ ბანკებს საშუალებას აძლევს გააფართოვონ თავიანთი საქმიანობის სფერო იმ დარგებში, სადაც ადრე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა.

1.2. საბანკო რისკების დახასიათება და კლასიფიკაცია

საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობა სხვა არაფერია თუ არა საბანკო სექტორის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის მდგომარეობა. იგი უპირატესად დამოკიდებულია იმ რისკების რეალურ შეფასებაზე, რომლებიც საბანკო საქმიანობის ფუნქციონირების პროცესში შეიძლება წარმოიშვას. თავის მხრივ რისკის არსი განხილული უნდა იქნეს, როგორც მოსალოდნელი უარყოფითი მოვლენა, რომელიც განსაზღვრულ ქმედებას მოსდევს.

⁴ კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., „ თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა“, თბილისი 2014, 548 გვ.

ნებისმიერ კომერციული საქმიანობის რისკი დაკავშირებულია რაიმე გადაწყვეტილებასთან, რომლის შედეგადაც მიღებული დანაკარგების გამო საექვო ხდება შემოსავლის მიღება. სხვა სიტყვებით, რისკი არის შესაძლებლობა, რომ იზარალო და არა შესაძლებლობა, რომ მიიღო შემოსავალი.

საბანკო დაწესებულებათა ფინანსური მდგრადობა პირდაპირ კავშირშია ეკონომიკის სტაბილურობასთან. ბანკის მდგრადობაზე შემდეგი ფაქტორები მოქმედებს:

- სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა. იგი თავის მხრივ მოიცავს ქვეყნის პოლიტიკური მდგრადობის ხარისხს, ქვეყანაში გატარებული სოციალური პოლიტიკის კურსს, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით სოციალური სტაბილურობისა და დამაბულობათა განსხვავებას; ქვეყნის პოლიტიკურ ორიენტაციას.

- საერთო ეკონომიკური მდგომარეობა. იგი გულისხმობს ეკონომიკის რეალური სექტორის პოტენციალს, საწარმოო სიმძლავრეთა განახლების უნარს, ადგილობრივ საქონელმწარმოებელთა კონკურენტუნარიანობას, საგადასახდელო ბალანსის სალდოს, ინვესტიციათა მოცულობას;

- მდგომარეობა ფინანსურ ბაზარზე. იგი მოიცავს: ბანკების მიერ მოზიდულ ანაბრებზე საპროცენტო განაკვეთის ოდენობას; ფულადი, სავალუტო და ფასიანი ქაღალდების ბაზრის შემოსავლიანობას; ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსს; ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობას; ოპერაციებს სავალუტო ბირჟაზე; ფულის ემისიას; ინფლაციის ტემპებს და მოლოდინს; სახელმწიფო სავალო ვალდებულებების განაკვეთს; ეროვნული ბანკის პოლიტიკას; საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მოცულობას; მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობას და საბანკო პროდუქტების კონკურენტუნარიანობას.

- საბანკო დაწესებულებათა შინაგანი მდგრადობა. მასში გაერთიანებულია ისეთი პარამეტრები, როგორცაა: ბანკის მისიისა და სტრატეგიის არსებობა (არარსებობა), კადრების კვალიფიკაციის დონე, საბანკო მენეჯმენტის ხარისხი, კაპიტალის საკმარისობა.⁵

⁵ რ.კაკულია, ლ.ბახტაძე, ლ.კანდელაკიშვილი „საბანკო საქმე“, თბილისი 2010, 473 გვ.

კომერციული ბანკის მდგრადობის სტრუქტურული შემადგენლებია:

- კაპიტალის მდგრადობა. იგი განისაზღვრება ბანკის საკუთარი კაპიტალის მოცულობით. ბანკის საკუთარი კაპიტალის საჭირო სიდიდე უზრუნველყოფს მას ფულადი სახსრების იმ მოცულობით, რაც აუცილებელია საბანკო ანაბრების დაფარვის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად; მასში ასევე შედის რეზერვები; გაუთვალისწინებელი დანაკარგების ასანაზღაურებლად, ბანკის განვითარების დასაფინანსებლად, ფორსმაჟორული ვითარების შემთხვევაში ადეკვატური მოქმედებების გასატარებლად, მუდმივად ცვალებად გარემოსთან დანიშნულებით;
- კომერციული მდგრადობა. იგი ხასიათდება კრედიტორებთან, კლიენტებთან და მენაბრებთან ურთიერთდამოკიდებულების ხარისხით, ბანკის ფულადი კაპიტალის ბაზრის რეალურ კაპიტალთან ურთიერთდამოკიდებულების სიმჭიდროვით და ბანკის სოციალური მნიშვნელობით;
- ფუნქციონალური მდგრადობა.

იგი უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია ორ ფაქტორზე:

1. ბანკის სპეციალიზაცია მომსახურების განსაზღვრულ სახეებზე, რაც მას საშუალებას აძლევს უფრო ეფექტიანად მართოს საკუთარი პროდუქტების ასორტიმენტი;
2. უნივერსალიზაცია, რაც გათვლილია იმაზე, რომ კლიენტთა უმრავლესობა მთელ საბანკო მომსახურებებზე თავის მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს ერთ ბანკში. ამ ორ მომენტს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. სპეციალიზაცია ბანკს მჭიდროდ დამოკიდებულს ხდის საბაზრო კონიუნქტურაზე და გამორიცხავს მისი საქმიანობის დივერსიფიკაციის შესაძლებლობას. უნივერსალიზაცია საშუალებას აძლევს ბანკს მოახდინოს ფულადი სახსრების მოზიდვის სტრუქტურის დივერსიფიკაცია და მას არ ხდის ერთ მსხვილ კლიენტზე დამოკიდებულს. თუმცა, მომსახურებათა მოცულობისა და დიაპაზონის ზედმეტად გაფართოებამ შესაძლოა გაართულოს საბანკო საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა. ეს კი განაპირობებს ბანკის მხრიდან საბაზრო მოთხოვნილებებისადმი მგრძობელობის მოდუნებას, მის კონკურენტუნარიანობის დაქვეითებასა და მდგრადობის შესუსტებას;

- ორგანიზაციულ-სტრუქტურული მდგრადობა. ბანკის სტრუქტურის ორგანიზაცია და მისი მართვა შესაბამისობაში უნდა იყოს საბანკო საქმიანობის

ფუძემდებლურ ფუნქციებთან და იმ საბანკო მომსახურებისა და პროდუქტების ასორტიმენტთან, რომელთა რეალიზაციითაც ბანკი საკუთარი სტრატეგიის განხორციელებას, თავის თავზე აღებული მისიის შესრულებას უზრუნველყოფს. ბანკის ორგანიზაციულ-სტრატეგიული მდგრადობის მნიშვნელოვანი პარამეტრია ფუნქციონალურ-ტექნოლოგიური დოკუმენტაცია;

- ფინანსური მდგრადობა. იგი ხასიათდება ძირითადი საქმიანობის განზოგადებული მაჩვენებლებით, რომელშიც სინთეზირებულია ბანკის ფინანსური მდგრადობის სხვადასხვა ეკონომიკური მახასიათებლები: საკუთარი კაპიტალის მოცულობა და სტრუქტურა, შემოსავლიანობა და მოგების დონე, საკუთარ კაპიტალზე მომგებიანობის ნორმა, ლიკვიდობა, საკუთარი კაპიტალის მულტიპლიკაციური ეფექტი.

რისკის განმარტება მრავალმხრივ მიდგომას მოითხოვს. ფართო გაგებით, რისკი არის მომავალში ამა თუ იმ მოვლენის დადგომის მიმართ განუსაზღვრელობა, საბანკო საქმიანობაში რისკი აღნიშნავს იმის ალბათობას, რომ დასაშვებია ისეთი მოვლენა, რომელიც არასასურველად აისახება ბანკის მოგებასა და კაპიტალზე.

რისკის მართვის ფუნქცია მოიცავს საბანკო საქმიანობის ყველა მიმართულებას. ფინანსური რისკების ნაწილი დაკავშირებულია ბანკის აქტიურ ოპერაციებთან, უპირატესად საკრედიტო და საინვესტიციო საქმიანობასთან. ასევე არაერთ რისკთან არის დაკავშირებული ბანკის პასიური ოპერაციები.

საბანკო რისკების უკეთ გაგებისა და მართვის უკეთესი სისტემის შექმნისათვის მნიშვნელოვანია მათი კლასიფიკაცია. რისკების კლასიფიკაცია საშუალებას გვაძლევს, მკაფიოდ განვსაზღვროთ თითოეული რისკის ადგილი საერთო სისტემაში. რისკების კლასიფიკაცია საშუალებას გვაძლევს, ეფექტიანად იქნეს გამოყენებული რისკების მართვის შესაბამისი მეთოდები.

რისკების ბუნების ღრმად და უკეთ გასაანალიზებლად განვიხილოთ საბანკო რისკების სხვა ტიპის კლასიფიკაცია, სადაც საბანკო რისკები დანახულია განსხვავებული მიმართულებით:

- 1) წარმოშობის წყაროების მიხედვით;
- 2) საქმიანობის მიმართულების მიხედვით;
- 3) საქმიანობის სფეროს მიხედვით;
- 4) წარმოშობის დროის მიხედვით;
- 5) ხარისხის მიხედვით;
- 6) გაანგარიშების მეთოდის მიხედვით;
- 7) ბანკის ტიპის მიხედვით;
- 8) ოპერაციის აღრიცხვის მიხედვით;
- 9) რეგულირების შესაძლებლობის მიხედვით.⁶

დავახასიათოთ თითოეული მათგანი, რაც საშუალებას მოგვცემს, სხვადასხვა კუთხიდან დავინახოთ და უკეთ შევაფასოთ ისინი.

1) **წარმოშობის წყაროების მიხედვით** გამოყოფენ ოთხი სახეობის რისკს:

- *ფინანსური რისკები* - ამ ჯგუფში შედის საკრედიტო, საპროცენტო, ლიკვიდობის, სავალუტო, საფონდო, ინფლაციისა და გადამხდელუნარიანობის რისკები;
- *მომსახურების მიწოდების რისკები* - ესაა საოპერაციო, ტექნოლოგიური და ახალი პროდუქტების დანერგვის რისკები;
- *მმართველობითი რისკები* - აქ შედის არაეფექტიანი მენეჯმენტის, სტრატეგიული, სამართლებრივი და შესაბამისობის, რეპუტაციისა და თაღლითობის რისკები;
- *დანარჩენი (გარე) რისკები* - მოიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ქვეყნისა და კონკურენციის რისკებს.

⁶ კოვჩანაძე ი., კონტრიძე გ., „ თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა“, თბილისი 2014, 548 გვ.

2) რისკები საქმიანობის მიმართულებების მიხედვით. ამ მიმართულებით გამოყოფენ ძირითად და არაძირითად საქმიანობასთან დაკავშირებულ საბანკო რისკებს.

- ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები ყველაზე გავრცელებული რისკებია, რომელთა შორის აღსანიშნავია საკრედიტო, საპროცენტო, სავალუტო, საფონდო, საინვესტიციო და სხვა რისკები;

- არაძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული რისკებიდან განსხვავდება იმით, რომ მეტწილად აქვთ ირიბი, პირობითი შეფასება და გამოიხატება ხელიდან გამვეებული შესაძლებლობებით. ეს რისკები მოიცავს შესაძლო დანაკარგებს, რომლებიც დაკავშირებულია დეპოზიტებს ფორმირებასთან, საბანკო თაღლითობასთან, ბაზრის წილის შემცირებასთან, ბანკის რეპუტაციის გაუარესებასთან, რეიტინგის შემცირებასთან და სხვა.

3) რისკები საქმიანობის სფეროების მიხედვით გულისხმობს შემდეგი

სახეობის რისკებს:

- ბანკის აქტივებთან დაკავშირებული რისკები მოიცავს საკრედიტო, სავალუტო, საპროცენტო, საანგარიშსწორებო, სალიზინგო, ფაქტორინგულ, საკასო, საკორესპონდენტო ანგარიშების, საინვესტიციო და სხვა რისკებს.

ბანკის პასივებთან დაკავშირებული რისკები მოიცავს სავალუტო, საპროცენტო, ანაზრებთან, ნასესხებ სახსრებთან და მოზიდვებთან დაკავშირებულ სხვა რისკებს;

- აქტივ-პასივების მართვასთან დაკავშირებული რისკები მოიცავს საპროცენტო, ლიკვიდობის გადამხდელუნარიანობის, კაპიტალის სტრუქტურის, ლევერეჯის რისკებს;

- მომსახურების რეალიზაციასთან დაკავშირებულ რისკებს რაც შეეხება, აქ შედის საოპერაციო, ტექნოლოგიური, ინოვაციური, სტრატეგიული, ადმინისტრაციული, უსაფრთხოებისა და სხვა რისკები.

4) წარმოშობის დროის მიხედვით საბანკო რისკებს ყოფენ წარსული, მიმდინარე და მომავალი პერიოდის რისკებად.

- წარსული პერიოდის, ანუ რეტროსპექტული რისკების, მნიშვნელობა გამოიხატება მათ შესწავლაში, ანალიზსა და მიმდინარე და მომავალი რისკების უფრო ეფექტიანად მართვაში. მიმდინარე პერიოდში ზარალის, მაგალითად, გაცემული საბანკო გარანტიის ანაზღაურებისას იგი ექვემდებარება წარსული პერიოდის რისკს, ვინაიდან მან ვერ გათვალა შესაძლო დანაკარგები;

- მიმდინარე რისკები დაკავშირებულია ბანკის მიმდინარე ოპერაციებთან;
- მომავალი პერიოდის რისკები არის ყველაზე ძნელად პროგნოზირებადი, ვინაიდან რისკი მით უფრო სახიფათოა, რაც დიდხანს გრძელდება საბანკო ოპერაცია.

5) ხარისხის მიხედვით გვაქვს დაბალი, ზომიერი და მაღალი დონის რისკები. აღნიშნული დაყოფა რეგულირდება საქართველოს საბანკო კანონმდებლობით, მაგალითად, ჩვენთვის კარგად ცნობილი აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების დებულების თანახმად, სესხები კლასიფიცირდება „სტანდარტულ“, „საყურადღებო“,

„არასტანდარტულ“, „საეჭვო“ და „უიმედო“ სესხებად. ამავე მიზანს ემსახურება რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების გაანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მეთოდოლოგიით, რომელიც საფუძვლად უდევს რამდენიმე მნიშვნელოვანი სავალდებულო ნორმატივის გაანგარიშებას.

6) გაანგარიშების მეთოდის მიხედვით გამოყოფენ კომპლექსურ და კერძო რისკებს.

- კომპლექსური რისკი გულისხმობს საბანკო ლიკვიდობის დონის შეფასების, პროგნოზისა და სავალდებულო ნორმატივების დაცვას;
- კერძო რისკები დაკავშირებულია რისკების შეფასებასთან, პროგნოზისა და დაცვასთან ცალკეული საბანკო ოპერაციის ან ჯგუფის მიხედვით.

7) **ბანკის ტიპის მიხედვით** სახეზეა სპეციალიზებული და უნივერსალური რისკები. ცხადია, ამ ტიპის ბანკებისათვის რისკების ნაკრები სხვადასხვაა მათი ფუნქციონირების თავისებურებიდან გამომდინარე.

- სპეციალიზებული რისკები დამახასიათებელია სპეციალიზებული ბანკებისათვის მათი სპეციფიკური ოპერაციებიდან, კლიენტებიდან და დარგებიდან გამომდინარე;

- უნივერსალური რისკები, ბუნებრივია, დამახასიათებელია უნივერსალური ბანკებისათვის.

8) **აღრიცხვის ხასიათის მიხედვით** სახეზეა საბანკო რისკები საბალანსო და გარეგანსურ ოპერაციების მიხედვით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ერთი და იგივე რისკი, მაგალითად, საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოიშობა საბალანსო ოპერაციების მიხედვით, ვრცელდება გარეგანსურ ოპერაციებზეც. აქ მნიშვნელოვანია, რომ მართებულად მოხდეს ერთსა და იმავე საქმიანობასთან დაკავშირებული და საბალანსო და გარეგანსურ ანგარიშებზე ერთდროულად ასახული შესაძლო დანაკარგების ასახვა.

9) **რეგულირების მეთოდების მიხედვით** არსებობს ღია და დაფარული რისკები.

- ღია რისკი, რომლის ლოკალიზება ბანკს არ ძალუძს;
- დაფარული რისკის შემთხვევაში ბანკს შეუძლია მისი სრულად ან ნაწილობრივ რეგულირდება დივერსიფიკაციის მეშვეობით.

ზემოთ წარმოდგენილი კლასიფიკაცია უფრო თვალსაჩინოა საბანკო რისკების ძირითადი მიმართულებებისა და სახეობების აღსაქმელად. იგი საშუალებას გვაძლევს, უკეთ დავინახოთ მათი ძირითადი სახეობების მნიშვნელობა და ადგილი. აღნიშნული დახასიათების საფუძველად გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის „დებულება კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“.

საბანკო საქმიანობაში არსებობს რისკების სხვადასხვა ტიპები, რომელთა შორის ძირითადად გამოყოფენ: ფინანსურ, ფუნქციონალურ და სხვა გარეშე რისკებს.

ფინანსური რისკები დაკავშირებულია გაუთვალისწინებელ ცვლილებებთან აქტივებისა და პასივების მოცულობაში, შემოსავლიანობაში, ღირებულებასა და სტრუქტურაში.

ფუნქციონალურ რისკს ადგილი აქვს ნებისმიერი პროდუქტის შექმნის ან მომსახურების გაწევისას. როგორც წესი, საბანკო სისტემაში ფუნქციონალური რისკების აღმოცენება იმის შედეგია, რომ შეუძლებელია დროულად და სრული მოცულობით გაკონტროლდეს საფინანსო სამეურნეო პროცესი, შეგროვდეს და გაანალიზდეს შესაბამისი ინფორმაცია. ისინი ფინანსურ რისკებზე არანაკლებ საშიშია, თუმცა, უფრო ძნელია მათი იდენტიფიცირება და რაოდენობრივად განსაზღვრა.

ლიკვიდობის რისკი ბანკის უნარია დროულად დააკმაყოფილოს მეანაბრებისა და კრედიტორების მოთხოვნები. ლიკვიდობის რისკი განპირობებულია იმით, რომ ბანკი შესაძლოა იყოს არასაკმარისად ლიკვიდური, ან ზედმეტად ლიკვიდური. არასაკმარისი ლიკვიდობის რისკის პირობებში ბანკი უძლურია დროულად შეასრულოს მისი ვალდებულებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბანკის ცალკეული აქტივების გაყიდვა არახელსაყრელი პირობებით. ჭარბი ლიკვიდობის რისკი არის ბანკის შემოსავლების დაკარგვის რისკი მაღალლიკვიდური აქტივების გაუმართლებელი დაფინანსება, ბანკისთვის გადასახდელი რესურსების ხარჯზე.

როგორც ცნობილია, ლიკვიდობა წარმოადგენს კომერციული ბანკის უნარის საზომს დააკმაყოფილოს არა მხოლოდ თავისი კლიენტების მიმდინარე მოთხოვნები, არამედ მსესხებლების ნებისმიერი კანონიერი მოთხოვნილებები.

ფასობრივი რისკი მოიცავს რისკების მთელ ჯგუფს, რომლებიც ფუძემდებლურ რისკებს მიეკუთვნება. ფასობრივი რისკები დაკავშირებულია ბანკის შემოსავლიანობის ან ვალდებულებებისა და აქტივების ღირებულებების გაუთვალისწინებელ ცვლილებათა შესაძლებლობასთან. ფასობრივ რისკში შედის საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების, საბაზრო და სავალუტო რისკები.

ცნობილია, საპროცენტო განაკვეთების **ცვლილებების რისკი**, რომელიც ბანკის მოგებაზე უარყოფითად მოქმედებს.

საბანკო საქმისთვის დამახასიათებელია **საბაზრო რისკი**, რომელიც საპროცენტო განაკვეთების რისკისაგან განსხვავებით დაკავშირებულია არა

საპროცენტო განაკვეთის საერთო დონის ცვლილებასთან, არამედ საპროცენტო განაკვეთების სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებთან.

სავალუტო რისკის ფუნქციონირება დაკავშირებულია უცხოური ვალუტების გამოყენებით აქტივების ფორმირებასა და ნასესხები სახსრების მოზიდვასთან. იგი განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით: სავალუტო რისკზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციები და პოლიტიკური მოვლენები, სავალუტო რეგულირების პოლიტიკაში ცვლილებები, სოციალური დაძაბულობის ხარისხი და სხვა. შეიძლება გამოვყოთ სავალუტო რისკის სამი ძირითადი შემადგენელი: გაცვლითი კურსის ცვლილების რისკი, რომელიც გამოწვეულია გაცვლითი კურსის გაუთვალისწინებელი ცვლილებებით. კონვერტირების რისკი, რომელიც დაკავშირებულია გაცვლითი ოპერაციების შეზღუდვებთან. ღია სავალუტო პოზიციის რისკი, რომელიც წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ ბანკის აქტივები უცხოურ ვალუტაში და მისი ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში ერთმანეთს არშეესაბამება.

„სავალუტო რისკი - ეს არის დანაკარგების საშიშროება, რომელიც დაკავშირებულია უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებასთან. მათი ყიდვა- გაყიდვის გარიგების განხორციელებისას. სავალუტო რისკის წარმოშობა დამოკიდებულია „სავალუტო პოზიციის“ მდგომარეობაზე. ე.ი. უცხოური ვალუტის გაყიდვაზე, მოთხოვნებსა და ვალდებულებებს შორის თანაფარდობაზე“⁷

„სავალუტო რისკის საკითხები და მათი დაზღვევის მეთოდები მეტად აქტუალურია საწარმოების და ორგანიზაციებისთვის, რომლებიც საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ. უცხოურ ვალუტათა კურსების ცვალებადობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც მათ სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე შესამჩნევ გავლენას ახდენს. საწარმოების სავალუტო ფონდებში დანარიცხების მოცულობის გადიდების შესაბამისად იზრდება ჯამური საკურსო დანაკარგებიც და სავალუტო რისკის შეზღუდვის მეთოდების ამორჩევის საკითხები სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.“⁸

⁷⁻⁸ ო.ლავრუშინი „საბანკო საქმე“, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გამომცემლობა, თბილისი 1996, 226გვ.

საკრედიტო რისკის კუთხით სავალუტო რისკმა შეიძლება მიგვიყვანოს ლიკვიდობის კრიზისამდე. სავალუტო რისკს ადგილი აქვს უცხოური ვალუტით ყველა საბალანსო და გარესაბალანსო ოპერაციისას, მაგრამ საბანკო დაწესებულებას შეუძლია გავლენა მოახდინოს თვით რისკის ფაქტორებზე და დაიცვას საკუთარი ინტერესები, რისკის დროულად განსაზღვრისა და შესაძლო უარყოფითი შედეგების შეზღუდვით.

საბაზრო რისკი განპირობებულია იმ საბაზრო ფაქტორთა შესაძლო ზემოქმედებით, რომლებიც გავლენას ახდენს აქტივების, პასივების ან გარესაბალანსო მუხლების ღირებულებაზე.

ცნობილია აგრეთვე ინფლაციის რისკი, რომელიც ბანკზე არაერთგვაროვან ზემოქმედებას ახდენს.

ყველაზე უფრო ცხადად წარმოჩინდება ინფლაციის უარყოფითი ზეგავლენა საბანკო აქტივების გაუფასურების სახით, რომელთა დიდი ნაწილი წარმოადგენს ფულად სახსრებს და კაპიტალურ დაბანდებებს. ბანკი გასცემს კრედიტს, რომელიც მას უზრუნდება განსაზღვრული დროის შემდეგ ინფლაციით გაუფასურებულ ფულში.

ფუნქციონალური რისკები სხვადასხვა სიტუაციებისას აღმოცენდება. მათი გამოვლენა უფრო რთულია, ვიდრე ფინანსური რისკების, რაც განპირობებულია სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებით. როგორც წესი, საბანკო დაწესებულებები ცდილობენ ფუნქციონალური რისკების მინიმიზებას შიდა აუდიტის აწყობილი მუშაობის, დოკუმენტბრუნვის სრულყოფის, ცალკეული ოპერაციების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების და შიდა მეთოდის დამუშავების გზით, აგრეთვე ოპერაციების რესურსული უზრუნველყოფის გათვლით.

სტრატეგიული რისკი დაკავშირებულია სტრატეგიულ მართვაში დაშვებულ შეცდომებთან. იგი ეხება ორგანიზაციის მიზნების არასწორ ფორმულირებასთან, მათი რეალიზების არასწორ რესურსულ უზრუნველყოფას და მთლიანობაში საბანკო საქმეში რისკის მართვისადმი არასწორ მიდგომას.

არაეფექტიანობის რისკი დაკავშირებულია საშიშროებასთან, როდესაც არ შეესაბამება ბანკის ოპერაციების განსახორციელებლად გაწეული ხარჯები და მათი შედეგიანობა. ბანკში სხვა კომპანიებზე გაცილებით რთულია ზედნადები ხარჯების

მართვა. ზედნადები ხარჯების რისკი მჭიდრო კავშირშია ეკონომიკური ათვისების რისკთან: იმ რისკთან, რომ არ იქნება მიღწეული ახალი საბანკო პროდუქტების, მომსახურების, ოპერაციების, ქვედანაყოფების ან ტექნოლოგიების დაგეგმილი ანაზღაურებადობა. თავისი არსით ბანკი როგორც საწარმო თავის პროდუქციას აწვდის ბაზარს, რის გამოც სახსრების მოზიდვა და განთავსება დაიყვანება კლიენტებისა და ბანკებისთვის ყველაზე ხელსაყრელი პირობების მიღწევისთვის ბრძოლაზე.

შეუსაბამობის რისკი განპირობებულია როგორც სახელმწიფო რეგულირების პირობების გაუთვალისწინებელი ცვლილებებით, ისე შესაძლო პრობლემებით შიდასაბანკო სისტემის მართვის და ბანკის მართვის კონტროლში. ჯერ ერთი, შეუსაბამობის რისკის შედეგად დანაკარგები შეიძლება წარმოიქმნას რეგულირებისა და ზედამხედველობის ორგანოების სანქციებთან დაკავშირებით; მეორე, შეიძლება დაზარალდეს ბანკის რეპუტაცია (რეპუტაციის დაკარგვის რისკი); მესამე, ზარალი შეიძლება აღმოცენდეს ხელიდან გაშვებული მოგების შედეგად ან პირდაპირი დანაკარგებიდან საბანკო საქმიანობის სპექტრის შეზღუდვის ან ოპერაციების შემოსავლიანობის შემცირების გამო. რისკის მოცემული სახეობა დაკავშირებულია ბანკის შესაძლო უუნარობასთან შეინარჩუნოს თავისი რეპუტაცია, როგორც საიმედო საქმიანმა პარტნიორმა. ბანკის დამოკიდებულება ნასესხებ საშუალებებზე მას ხდის განსაკუთრებით მგრძობიარეს რისკის მოცემული სახეობისადმი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბანკის საიმედოობის თაობაზე შიში უსაფუძვლო აღმოჩნდება, მეანაბრების მხრიდან მისდამი ნდობის დაკარგვამ შეიძლება გამოიწვიოს სახსრების გადინება და გადახდისუუნარობა. რეპუტაციის შელახვის თავიდან აცილების მიზნით ბანკმა მთავარი ყურადღება უნდა მიაჩიოს საკუთარი რეპუტაციის შენარჩუნებას. ეროვნული ბანკისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წინაშე რისკის მოცემული სახეობის კონტროლის ღონისძიებებს წარმოადგენს ლიკვიდობის შენარჩუნება (ანგარიშწორების შეყოვნების არარსებობა), საექვო ოპერაციებისგან თავის დაღწევა (მაგალითად, ფულის გათეთრების ოპერაციები), მონაწილეობა სხვადასხვა სახეობის რეგიონალურ პროექტებში და ა.შ.

კომერციული ბანკი აკრედიტებს რა კლიენტის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენას, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საკრედიტო რისკი.

შეძლებს კი მსესხებელი დროულად და სრულიად შეასრულოს თავისი ვალდებულებები? ბანკის შეფასებიდან გამომდინარე, მოვლენათა არასასურველი განვითარების (გადაუხდელობის) ალბათობის მიმართ ბანკმა ფულადი კომპენსაციების სიდიდე უნდა განსაზღვროს. თანაც, საუბარია არა პირდაპირ კომპენსაციაზე არახელსაყრელი მოვლენის დადგომის გამო, არამედ - ფასწარმოქმნაზე რისკის გათვალისწინებით, როდესაც საპროცენტო განაკვეთის მოცულობაში გათვალისწინებულია კრედიტების მიხედვით დანაკარგების ალბათობა.

კომერციული ბანკის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია, რაც შეიძლება მეტი მოგების მიღება. აღნიშნული მისწრაფება შეზღუდულია იმ შესაძლო რისკებით, რომლებიც თან სდევს საბანკო საქმიანობას, ამიტომ ბანკი ცდილობს გვერდი აუაროს ამ რისკებს ან მინიმუმამდე შეამციროს ისინი, ანუ მინიმუმამდე შეამციროს შესაძლო დანაკარგები. მეორე მხრივ, რაც უფრო რისკიანია ოპერაცია, მით უფრო მაღალია შესაძლო მოგების მიღების ალბათობა. სწორედ ამიტომ, სხვადასხვა ალტერნატიული შესაძლებლობიდან იმ ვარიანტის არჩევა, რომლის დროსაც ნაკოვნი იქნება რისკიანობისა და შემოსავლიანობის ოპტიმალური შესაბამისობა, არის ბანკის მენეჯმენტის უმთავრესი მოვალეობა. აღნიშნული კი შესაძლებელია მხოლოდ საბანკო რისკების კარგად ცოდნის, კონტროლისა და მართვის შესაბამისი მექანიზმების არსებობის შემთხვევაში.

რისკი დევს ბანკის ნებისმიერ ოპერაციაში, რა თქმა უნდა, მათი მასშტაბი და უარყოფითი გავლენა სხვადასხვაა. რისკის დონე იზრდება მაშინ, როცა პრობლემები ჩნდება მოულოდნელად და ბანკი არ აღმოჩნდება მზად მის დროულად და მაქსიმალურად გასაწესებლად. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ სასურველი მოგების მიღება კომერციულ ბანკში შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა სავარაუდო რისკები, ანუ მოსალოდნელი დანაკარგების ალბათობა, წინასწარაა შესწავლილი, გათვლილი და დაზღვეული.

თავი2. საკრედიტო რისკი

2.1. საკრედიტო რისკის მნიშვნელობა

საკრედიტო რისკს თამამად შეიძლება ეწოდოს ბანკების „მთავარი რისკი“ და იგი განიმარტება, როგორც კონტრაგენტი პარტნიორის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან გაკოტრებით გამოწვეული რისკი. საკრედიტო რისკი ძირითადად გულისხმობს გაცემული კრედიტების დაუბრუნებლობის რისკს, თუმცა, აქ ასევე შედის ბანკების კლიენტებთან (დებიტორები) ურთიერთობის სხვა მიმართულებებიც - სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობა, დოკუმენტური ოპერაციები და სხვა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფილია საკრედიტო რისკის წარმოშობის ალბათობის 4 ძირითადი მიზეზი:

- ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ნეგატიური ცვლილებები, ანუ შექმნილი კრიზისული ან რეცესიული მდგომარეობა, რომელიც იწვევს მსესხებლების (დებიტორების) საქმიანი აქტივობის შემცირებას;

- მსესხებლის უუნარობა, მიაღწიოს ბიზნესგეგმით გათვალისწინებულ დაგეგმილ შედეგებს ქვეყნის მასშტაბით პოლიტიკურ, საქმიან თუ სოციალურ სფეროებში მომხდარი ცვლილებებისგამო;

- მსესხებლის მიერ კრედიტის არამიზნობრივი გამოყენება ან არაკეთილსინდისიერება, რაც გამოიხატება კრედიტის დაფარვისგან თავის არიდებს მცდელობით;

- კომპანიის საბაზრო ღირებულების შემცირება, უზრუნველყოფის (გირაოს) გაუფასურება დაგანადგურება.⁹

კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭო უნდა მოქმედებდეს ბანკის სტაბილურობის ინტერესების შესაბამისად. ქართული საბანკო რეგულაციით, სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია დაამტკიცოს საკრედიტო რისკის სტრატეგია და პოლიტიკა, რომლებშიც უნდა იყოს:

- ასახული ეკონომიკური ციკლისა და საერთაშორისო ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების მიმართ ბანკის ამტანობა და მოსალოდნელი შემოსავლების მდგრადობის ალბათობა;

⁹ კოვჩანაძე ი., კონტრიძე გ., „ თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა“, თბილისი 2014, 548 ბმ.

➤ გათვალისწინებული ადგილობრივი და საერთაშორისო ეკონომიკური ციკლები და ცვლილებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ საკრედიტო პორტფელის შემადგენლობასა და ხარისხზე.

მნიშვნელოვანია, საკრედიტო რისკის მართვის სტრატეგია და პოლიტიკა შემუშავებული იყოს იმგვარად, რომ დააკმაყოფილოს გრძელვადიანი მოთხოვნები, საჭიროების შემთხვევაში - მასში სათანადო კორექტირებების გათვალისწინებით.

რაც შეეხება საკრედიტო რისკის სტრატეგიის, პოლიტიკის განხორციელებისა და შესაბამისი პროცედურების შემუშავებას, მისთვის პასუხისმგებელია კომერციული ბანკის დირექტორატი. დირექტორატის მიერ შემუშავებული პროცედურების საშუალებით ხდება:

- ✓ საკრედიტო რისკის განსაზღვრა;
- ✓ საკრედიტო რისკის შეფასება;
- ✓ საკრედიტო რისკის მონიტორინგი;
- ✓ საკრედიტო რისკის კონტროლი.

უმნიშვნელოვანესია, კომერციულმა ბანკმა დაადგინოს და მართოს ყველა ახალი პროდუქტისა და საქმიანობისათვის დამახასიათებელი საკრედიტო რისკი და უზრუნველყოს, რომ მათ დანერგვამდე და ამუშავებამდე ახალი პროდუქტებისა და საქმიანობის შედეგად მიღებულმა რისკებმა სათანადო კონტროლი გაიარონ, რაც გულისხმობს რისკების მართვის კომიტეტის რეკომენდაციების ან დირექტორატის თანხმობის წინასწარ მიღებას.

საკრედიტო რისკის ანალიზისათვის აუცილებელია, რისკის მქონე საკრედიტო ოპერაციების შერჩევასა გათვალისწინებულ იქნეს შემოსავლიანობის დონე ყველა ხარჯის ჩათვლით. ამასთან, სულ ცოტა, კვარტალში ერთხელ დირექტორატმა უნდა მიიღოს საკრედიტო ოპერაციების მომგებიანობის ანალიზი.

კომერციულ ბანკში საკრედიტო რისკების მინიმიზაციის მიზნით აუცილებელია საკრედიტო ლიმიტების პროცედურების შემუშავება. საკრედიტო რისკზე ლიმიტების დაწესების შესახებ პროცედურებში ბანკმა, სხვა ფაქტორებთან ერთად, უნდა

წარმოადგინოს ის ფაქტორებიც, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ საკრედიტო რისკის ლიმიტების დაწესებასა და იმ პროცესებზე, რომლებიც დაკავშირებულია ამ გადაწყვეტილების მიღებასთან.

კომერციულმა ბანკმა უნდა დააწესოს ლიმიტები მსესხებლებისა და კონტრაგენტებისათვის მათთან ოპერაციების განხორციელებამდე, რისკის მიმართ ბანკის ტოლერანტულობის დონის გათვალისწინებით. საკრედიტო რისკის ლიმიტები წესდება იმ მიზნით, რომ შემცირებულ იქნეს კონცენტრაციით გამოწვეული რისკები. დაწესებულმა ლიმიტებმა უნდა მოიცვას სულ მცირე შემდეგი:

- ✓ კლიენტის ან კონტრაგენტი პარტნიორის რისკი;
- ✓ ურთიერთდაკავშირებული მხარეების რისკი;
- ✓ გარკვეული ეკონომიკური სექტორის ან გეოგრაფიული კონცენტრაციის რისკი.

საკრედიტო რისკის ლიმიტის დაწესება სრულად უნდა იქნეს დოკუმენტირებული წერილობითი ფორმით, რაც ხელს შეუწყობს გარე და შიდა აუდიტორების მიერ აუდიტის ჩატარებას.

უმნიშვნელოვანესია, კომერციულმა ბანკმა დაადგინოს თავისი ყველა პროდუქტისა და საქმიანობისათვის დამახასიათებელი საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკის ამგვარი დადგენა წარმოადგენს კონკრეტული საქმიანობის საკრედიტო რისკის მახასიათებლების შესწავლის შედეგს, რომელიც გულისხმობს: კრედიტის გაცემას, სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობას და მიზნობრივ დაფინანსებას.

და ბოლოს, კომერციულმა ბანკმა უნდა შექმნას კრედიტების დამოუკიდებელი და მუდმივი განხილვის შიდა სისტემა საკრედიტო რისკის მართვის პროცესის გამოყენების ეფექტიანობასთან დაკავშირებით.

ასევე, ბანკს უნდა ჰქონდეს პრობლემური სესხების მართვის პროცედურები, მათ შორის, წერილობითი სისტემა, რომელიც აღმოაჩენს და გამოავლენს პრობლემურ სესხებს და ეფექტიანად გამოიყენოს ეს პროცედურები.

2.2. საკრედიტო რისკზე მოქმედი ფაქტორები

საბანკო საკრედიტო რისკი მრავალი ფაქტორების ზემოქმედებაზე დამოკიდებული, რომლებიც საკრედიტო ოპერაციისა და რისკის მართვის ორგანიზაციის განხორციელებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული.

ჩვეულებრივად ყველა ფაქტორები ორ დიდ ჯგუფად დაიყოფა: საგარეო (მიკრო და მეზო დონეზე) და შიდა (კონკრეტული მსესხებლის დონეზე). შემდგომ სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე ზემოქმედი ფაქტორების თავისებურებებზე დამოკიდებულებაში მიღებულია გამოიყოს: პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების ფაქტორები.

საბანკო საკრედიტო რისკის სპეციფიკის მხედველობაში მიღებით, მის სიდიდეზე ზემოქმედი ფაქტორების შესწავლა მიზანშეწონილია მსესხებლის კრედიტუნარიანობის საკითხების განხილვიდან იქნეს დაწყებული.

კრედიტუნარიანობა - არის მსესხებლის მზადყოფნა ბანკთან საკრედიტო ურთიერთობებში მონაწილეობასთან დაკავშირებით და მისი შესაძლებლობა საბანკო დაკრედიტების ძირითად პრინციპებთან შესაბამისობაში მოქმედებასთან დაკავშირებით.

დაკრედიტების ფუძემდებლურ პრინციპებად ითვლება: კრედიტის დაბრუნებადობა, ვადიანობა, ფასიანობა და საკრედიტო გარიგების დადების ნებაყოფლობითობა. დაკრედიტების პრინციპების სახით ასევე შეიძლება კრედიტის მიზნობრივი დანიშნულოების მიხედვით ეფექტურად გამოყენების პრინციპი, აგრეთვე მსესხებლის ხარისხის პრინციპიც იქნეს განხილული, რაც ბანკების მხრიდან პოტენციური კლიენტებისადმი მუდმივად მზარდი მოთხოვნილებებითაა განპირობებული.

თანამედროვე პირობებში სხვადასხვა ქვეყნების კომერციულ ბანკებს მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების მნიშვნელოვანი რაოდენობის მეთოდები გააჩნიათ. მეტად ფართოდაა გავრცელებული კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასების შემდეგი სისტემები: ხუთი „სი“-ს წესი, CAMPARI, COPF, CAMEL, PARSER და სხვა. (ცხრილი 2.1)

ცხრილი 2.1. კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასების ძირითადი

სისტემები¹⁰

ხუთი „სი“-ს წესი (აშშ)	CAMPARI (ზოგიერთი ევროპული ბანკები)	COPF (გერმანია)	CAMEL (მსოფლიო ბანკი)	PARSER (ინგლისი)
<ul style="list-style-type: none"> - C – character სამართალუნარიანობა, მსესხებლის რეპუტაცია; - C – capacity საკმარისი მომგებიანობა, ფინანსური შესაძლებლობები; - C – capital საკუთარი კაპიტალი, ქონება; - C – collateral საემიანობის პირობები, მსესხებლის უზრუნველყოფა; - C – conditions საერთო ეკონომიკური პირობები; 	<ul style="list-style-type: none"> - C – character მსესხებლის რეპუტაცია; - A – ability კრედიტის დაბრუნების შესაძლებლობა; - M – marge საკრედიტო ოპერაციის შემოსავლიანობა; - P – purpose კრედიტის მიზნობრიობა; - A – amount კრედიტის სიდიდე; - R – repayment დაფარვის პირობები; - I – insurance უზრუნველყოფა; 	<ul style="list-style-type: none"> - C – competition კონკურენცია დარგში; - O – organization საქმიანობის ორგანიზაცია ; - P – personnel პერსონალი, კადრები; - F – finance ფინანსები, შემოსავლები ; 	<ul style="list-style-type: none"> - C – capital საკუთარი კაპიტალის საკმარისობა; - A – assets აქტივების სიდიდე; - M – management მენეჯმენტის ხარისხი; - E – earning შემოსავლიანობა; - L – liquidity ლიკვიდურობა; 	<ul style="list-style-type: none"> - P – person მსესხებლის რეპუტაცია; - A – amount კრედიტის მოცულობა; - R – repayment დაფარვის შესაძლებლობა; - S – security უზრუნველყოფა; - E – expediency კრედიტის მიზანშეწონილობა; - R – remuneration ბანკის სარგებელი;¹¹

კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასების ზემოთმოყვანილ სისტემებში მათი შემადგენელი ელემენტები უფრო ხშირად განისაზღვრება, როგორც მსესხებლების არჩევის კრიტერიუმები ან შეფასებითი პარამეტრები, რომლებიც პოტენციური რისკების მრავალი ფაქტორების შედარების შესაძლებლობას იძლევა.

ისეთი კრიტერიუმები, როგორებიცაა: მსესხებლის რეპუტაცია, შემოსავლის მიღების შესაძლებლობა, კრედიტის უზრუნველყოფა, საერთო ეკონომიკური პირობები იმ ფაქტორების სახით განიხილება, რომლებიც კრედიტის რეიტინგის, ანუ საკრედიტო რისკის განმსაზღვრელია.

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე „საბანკო საკრედიტო რისკის ფაქტორის“ ცნების განსაზღვრის ჩამოყალიბება არის შესაძლებელი.

¹⁰გ.ცაავა, თ.აბრამია, დ.ცაავა „რისკოლოგია - ფინანსური და საბანკო-საკრედიტო რისკების მენეჯმენტი“,

თბილისი 2007, 567 გვ.

საბანკო საკრედიტო რისკის ფაქტორი - არის ბანკის აქტივების ღირებულების შესაძლო დანაკარგების მიზეზი, რომელიც მათი ხასიათისა და წარმოშობის სფეროს განმსაზღვრელია.

საბანკო საკრედიტო რისკის ფაქტორების შესწავლისადმი კომპლექსური მიდგომა და იმ მიზეზების გამოყოფა არის საჭირო, რომლებიც ბანკის საკრედიტო პოლიტიკის მსესხებლის სამეურნეო საქმიანობისა და დარგის, რეგიონის, სახელმწიფოს მთლიანობაში საერთო ეკონომიკური მდგომარეობის სფეროებისათვის არის დამახასიათებელი.

საბანკო საკრედიტო რისკის ფაქტორების ერთობლიობიდან მიზანშეწონილია შემდეგი სახეობები გამოიყოს:

- ინდივიდუალური საკრედიტო რისკების ფაქტორები - საკრედიტო რისკების ფაქტორები ფიზიკური და იურიდიული პირების დაკრედიტებისას;
- ბანკის ერთობლივი საკრედიტო რისკის ფაქტორები - ბანკის საკრედიტო პორტფელის რისკის ფაქტორები;

აღნიშნული, პირველ რიგში, ბანკის საკრედიტო რისკის სხვადასხვა დონეებზე შეფასების (ანალიზის) განხორციელების შესაძლებლობებით არის განპირობებული, კერძოდ:

1. თითოეული კონკრეტული საკრედიტო გარიგების დონეზე;
2. ბანკის საკრედიტო პორტფელის დონეზე მთლიანობაში.

მოცემული ნიშანთვისება (რისკის ანალიზის განხორციელების დონე), საბანკო საკრედიტო რისკის სიდიდეზე, ზემოქმედი ფაქტორების დაჯგუფებისას, ძირითად ფუძემდებლურ არგუმენტს წარმოადგენს (ცხრილი 2.2.)

ცხრილი 2.2. ფაქტორები, რომლებიც საბანკო საკრედიტო რისკის სიდიდეზე ზემოქმედებას ახდენენ¹²

ინდივიდუალური რისკები		ერთობლივი რისკი
ფიზიკური პირები	იურიდიული პირები	საკრედიტო პორტფელი
<p>1. ეკონომიკური სიტუაციის არასტაბილურობა (ფინანსური კრიზისი, ეროვნული ვალუტის კონვერტირებადობის არ არსებობა, მოსახლეობის გადახდისუნარიანობა, ინფლაცია და სხვა);</p> <p>2. მსესხებლის მატერიალური მდგომარეობის ცვალებადობა (ხელფასის გადავადება - შემცირება, პენსიაზე გასვლა, მემკვიდრეობის მიღება და სხვა);</p> <p>3. მსესხებლის საკრედიტო ისტორია (არ არსებობს, დადებითია, უარყოფითია);</p> <p>4. სესხის უზრუნველყოფის</p>	<p>1. არასტაბილურობა ეკონომიკური სიტუაციის (ფინანსური კრიზისი, ეროვნული ვალუტის კონვერტირებადობის არ არსებობა, წარმოების დაცემა, ცალკეულ ბაზრებზე არასასურველი ცვლილებები, ინფლაცია და სხვა);</p> <p>2. მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის ცვალებადობა (ფინანსური მდგრადობის, ბრუნვადობის, რენტაბელურობის, ლიკვიდურობისა და სხვა მაჩვენებლები);</p> <p>3. მსესხებლის საკრედიტო ისტორია (არ არსებობს, დადებითია, უარყოფითია);</p>	<p>1. არასტაბილურობა ეკონომიკური სიტუაციის (ფინანსური კრიზისი, ეროვნული ვალუტის კონვერტირებადობის არ არსებობა, წარმოების დაცემა, ცალკეულ ბაზრებზე არასასურველი ცვლილებები, ინფლაცია და სხვა);</p> <p>2. ცენტრალურიბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ცვალებადობა (სავალდებულო რეზერვების ნორმების, რეფინანსირების განაკვეთის, რისკების ნორმატივების ცვლილება, პრიორიტეტული დარგების სახელმწიფო მხარდაჭერა და სხვა);</p> <p>3. ბანკისსაკრედიტო პოლიტიკაში</p>

¹² გ.ცაავა, თ.აბრამია, დ. ცაავა „რისკოლოგია - ფინანსური და საბანკო - საკრედიტო რისკების მენეჯმენტი“, თბილისი 2007, 567 გვ.

<p>ხარისხის შეცვლა (ღირებულების, ლიკვიდურობის);</p> <p>5. მსესხებლის სოციალური მდგომარეობის შეცვლა (დაქორწინება, ოჯახის შემადგენლობის ცვლილება და სხვა);</p> <p>6. საკრედიტო ხელშეკრულების პირობების შეცვლა (პროცენტებისა და ძირითადი ვალის გადახდაზე, საჯარიმო სანქციებზე, მორატორიუმის დადგენა ან გაუქმება, საპროცენტო განაკვეთების, ძირითადი ვალის დაფარვის ვადების შეცვლა და სხვა);</p> <p>7. პირადული ფაქტორები (მსესხებლის არადისციპლინირება, წინასწარ ცრუ ინფორმაციის მიწოდება, საბანკო კონტროლისადმი ხელის შეშლა, ბოროტმოქმედება და სხვა);</p>	<p>4. სესხის უზრუნველყოფის ხარისხის შეცვლა (ღირებულების, ლიკვიდურობის);</p> <p>5. საწარმო-მსესხებლის მართვის ხარისხი (საგანმანათლებლო დონე, კვალიფიკაცია და ხელმძღვანელი რგოლის მოცემულ სფეროში მუშაობის გამოცდილება და სხვა);</p> <p>6. საკრედიტო ხელშეკრულების პირობების შეცვლა (პროცენტებისა და ძირითადი ვალის გადახდაზე, საჯარიმო სანქციების მორატორიუმის დადგენა ან გაუქმება, საპროცენტო განაკვეთების, ძირითადი ვალის დაფარვის ვადების შეცვლა);</p> <p>7. პირადული ფაქტორები (მსესხებლის არადისციპლინირება, წინასწარ ცრუ ინფორმაციის მიწოდება, საბანკო კონტროლისადმი ხელის შეშლა, ბოროტმოქმედება და სხვა);</p>	<p>ცვლილებები (რესურსების სხვა დარგებზე გადაორიენტირება, ახალი საკრედიტო ინსტრუმენტების შემოტანა, მართვის სტრუქტურის შეცვლა და სხვა);</p> <p>4. პირადული ფაქტორები (კვალიფიკაციისა და გამოცდილების უკმარისობა, მიკროკლიმატი კოლექტივში, თანამდებობრივი უფლებამოსილებების გადამეტება, ბოროტმოქმედება და სხვა);</p>
--	---	---

თავი 3. საკრედიტო რისკების მართვა კომერციული ბანკებში და მისი მინიმიზაცია

3.1. საკრედიტო რისკების მართვა

რისკი არის იმ შედეგის დადგომის ალბათობა, რომელიც წარმოადგენს გადახრას დაგეგმილი/მოსალოდნელი შედეგიდან და უარყოფითად მოქმედებს დაწესებულების მიზნების მიღწევაზე.

რისკი განისაზღვრება შემდეგი მახასიათებლების კომბინაციით:

ა) მოხდენის ალბათობა;

ბ) გავლენა (მოხდენის შემთხვევაში).

✓ მოხდენის ალბათობა არის კონკრეტული შედეგის დადგომის შესაძლებლობა, სადაც გასათვალისწინებელია შედეგის დადგომის სიხშირე.

✓ გავლენა არის მიღებული ეფექტი კონკრეტული შედეგის დადგომის შემთხვევაში. გავლენა ითვალისწინებს ოთხელემენტს:

- დრო
- ხარისხი
- სარგებელი
- ადამიანური და სხვარესურსები

მოხდენის ალბათობისა და გავლენის კომბინაცია განსაზღვრავს კონკრეტული რისკის მნიშვნელობის დონეს და დაწესებულების მიზნებიდან გამომდინარე იძლევა პრიორიტეტების მიხედვით, რისკის დახარისხების საშუალებას.

პირველ რიგში, უნდა განიხილებოდეს და იმართებოდეს რისკები, რომელთა მოხდენის ალბათობა და გავლენა ყველაზე მაღალია. რიგითობით ყოველი შემდეგი უნდა იყოს რისკი ნაკლები მოხდენის ალბათობითა და გავლენით. პრაქტიკაში ეს პროცესი გაცილებით რთულია, რადგან არსებობენ რისკები, რომელთა მოხდენის ალბათობა არის მაღალი, მაგრამ დაბალია გავლენა ან პირიქით. ასეთ შემთხვევებში უნდა განხორციელდეს რისკების პრიორიტეტებად დალაგება დაწესებულების მიზნებისა და ამოცანებიდან გამომდინარე, რათა არ მოხდეს შეცდომის დაშვება (ცხრილი 3.1)

ცხრილი 3.1. რისკები და პრიორიტეტები¹³

ალბათობა	მაღალი	პრიორიტეტულია
გავლენა	მაღალი	
ალბათობა	მაღალი	რიგითობის განსაზღვრა უნდა მოხდეს დაწესებულების მიზნებიდან და სტრატეგიიდან გამომდინარე
გავლენა	დაბალი	
ალბათობა	დაბალი	რიგითობის განსაზღვრა უნდა მოხდეს დაწესებულების მიზნებიდან და სტრატეგიიდან გამომდინარე
გავლენა	მაღალი	
ალბათობა	დაბალი	ნაკლებად პრიორიტეტულია
გავლენა	დაბალი	

რისკის მართვა წარმოადგენს რისკის განსაზღვრის, შეფასების, მონიტორინგის და რისკის მისაღებ დონეზე შენარჩუნების მიზნით საჭირო კონტროლის ღონისძიებების გატარების პროცესს, რომელიც გავლენას ახდენს დაწესებულების მიზნებისა და ამოცანების მიღწევაზე და გულისხმობს საჭირო ღონისძიებების განხორციელებას რისკის შემცირების მიზნით.

რისკის მართვა წარმოადგენს ერთიან, უწყვეტ და განვითარებად პროცესს, რომელშიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობას იღებს დაწესებულების თითოეული თანამშრომელი.

რისკის მართვა წარმოადგენს დაწესებულების სტრატეგიული მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს.

რისკის მართვის მთავარი ამოცანაა მოახდინოს რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით შესაძლებელია გამოვლენილ იქნეს პოტენციური დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების საქმიანობაზე.

რისკის მართვა მოიცავს პრაქტიკულად ყველა რისკს, რომელიც ეხება დაწესებულების საქმიანობას წარსულში, აწმყოსა და მომავალში.

¹³ მ. შიუკაშვილი, „რისკების მართვა საბანკო სისტემაში“, თბილისი 2015, 129 გვ.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო დაწესებულებაში შექმნილი შიდა აუდიტის სუბიექტის მოვალეობაა არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასება და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

რისკის მართვა უნდა ატარებდეს პერმანენტულ ხასიათს და ხორციელდებოდეს დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ყოველწლიურად დამტკიცებული რისკის მართვის სტრატეგიის შესაბამისად.

რისკის მართვა ეხმარება და აძლიერებს დაწესებულებას, უზრუნველყოფს რა მისი ამოცანების ეფექტურად შესრულებას, მათ შორის:

- ✓ დაწესებულების ზოგადი მიმართულებების ჩამოყალიბებას, რომელიც საშუალებას იძლევა მომავალი საქმიანობა გამართული და კონტროლირებადი ფორმიტწარიმართოს;

- ✓ რიგი პროცესების გაუმჯობესებას - გადაწყვეტილების მიღებას, დაგეგმვასა და პრიორიტეტების მინიჭებას;

- ✓ დაწესებულებაში არსებული ქონებისა და რესურსების პროდუქტიული განაწილებისა და გამოყენების ხელშეწყობას;


- ✓ დაწესებულების რეპუტაციისა და აქტივების დაცვასა და გაძლიერებას;

- ✓ ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციონალური ცოდნის ბაზის განვითარებასა და გაძლიერებას;

- ✓ ოპერაციების ოპტიმიზაციას დასხვ.

რისკის მართვის პროცესი არის კოორდინირებული და თანმიმდევრული უწყვეტი ქმედებების ერთობლიობა. მისი შემადგენელი ცალკეული ნაწილები დამოკიდებულია დაწესებულების სპეციფიკაზე, მის მიზნებსა და სტრატეგიაზე, თუმცა რისკის მართვის პროცესის ზოგადი სტრუქტურა ყველა დაწესებულებაში იდენტურია (ნახ. 3.1.).

რისკის მართვის საწყის ეტაპზე საჭიროა მოხდეს რისკების შიდა და გარე ფაქტორების მიხედვით დაყოფა. გარე ფაქტორებში შედის: ფინანსური რისკები, სტრატეგიული რისკები, ოპერაციული რისკები და მოსალოდნელი საფრთხის რისკები.



ნახაზი 3.1. რისკის მართვის პროცესი¹⁴

¹⁴მ.შიუკაშვილი „რისკების მართვა საბანკო სისტემაში“, თბილისი 2015, 129 გვ.;

კომერციული ბანკის საქმიანობის ძირითადი სახეა კლიენტების დაკრედიტება. თანამედროვე დროში უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდება ბანკების საკრედიტო ისტორია: იცვლება ძველი საკრედიტო პროდუქტები, იქმნება ახლები. საკრედიტო პროდუქტების ფორმირებისთვის კლიენტებს ესაჭიროებათ უფრო ყურადღებიანი, პერსონალური მიდგომები. ყოველივე ეს კომერციული ბანკების საკრედიტო საქმიანობას გაცილებით უფრო მრავალფეროვანს, ხოლო რისკებს, რომლებიც თან ახლავს საკრედიტო საქმიანობას - უფრო მასშტაბურსა და რთულსხდის.

Price waterhouse Coopers (PwC)- მა ფინანსური ინოვაციების შემსწავლელ (Centre for the Study of Financial Innovation; CSFI) ცენტრთან ერთად ჩაატარა კვლევები იმ რისკების გამოვლენის მიზნით, რომლებიც დღესდღეობით ემუქრება კომერციულ ბანკებს მთელ მსოფლიოში და მათი პრიორიტეტულობის განსაზღვრის მიზნით. 58 ქვეყნიდან მიღებული 700-ზე მეტი პასუხის საფუძველზე, 2012 წელს საკრედიტო რისკი მეორე ადგილზეა უმნიშვნელოვანესი საბანკო რისკების ჩამონათვალში.

საკრედიტო რისკი შეიძლება წარმოვადგინოთ, როგორც მსესხებლის მიერ საკუთარ თავზე აღებული სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად აქტივების დაკარგვის რისკი. საბანკო მენეჯმენტის შესახებ თანამედროვე კვლევებსა და ნაშრომებში, ასევე პრაქტიკაშიც, ყველაზე ხშირად საკრედიტო რისკის აღმოცენების მიზეზად განიხილავენ დეფოლტს - ხელმოწერილი საკრედიტო შეთანხმების (კონტრაქტის) ფაქტობრივ შეუსრულებლობას, ან არასათანადო შესრულებას კონტრაგენტისმიერ.

ბანკის საქმიანობის სხვადასხვა სახეობას შორის საკრედიტო ოპერაცია ძირითადი ოპერაციაა, რომელიც უზრუნველყოფს შემოსავლებსა და ბანკის არსებობის სტაბილურობას. ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე სესხების გაცემის მეშვეობით ბანკი ახორციელებს თავისი საკრედიტო პორტფელის ფორმირებას.

ამ რისკის შედეგი შეიძლება იყოს აქტივების საბანკო პორტფელში საკრედიტო წილის შემცირება. რამდენადაც კრედიტი არის საბანკო აქტივების ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი, იმდენად პორტფელის საკრედიტო ნაწილის სულ მცირე დაქვეითებამ შეიძლება გამოიწვიოს კაპიტალის სერიოზული დანაკარგები.

საკრედიტო რისკი ფორმირდება იმ ფაქტორებისგან, რომლებიც არსებობს როგორც მსესხებლის, ასევე ბანკის მხარეს. ისეთ ფაქტორებს, რომლებიც კლიენტის მხარეს არსებობს, მიაკუთვნებენ, მაგალითად, კლიენტ-მსესხებლის გადახდისუნარიანობას და საკრედიტო შეთანხმების ხასიათს. ბანკის მხარეს არსებულ ფაქტორს შეიძლება მიეკუთვნოს საკრედიტო პროცესისორგანიზება.

პანოვა გ.ს. წიგნში „კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკა“ მომხმარებლების კრედიტუნარიანობას აღწერს, როგორც „ბანკის ნდობის ხარისხს, რომელიც უკავშირდება მომხმარებლების ნასესხები თანხების დროულად დაბრუნების ვალდებულებას“.¹⁵ ეს დამოკიდებულია პირველ რიგში კლიენტის ფინანსურ მდგომარეობაზე, ობიექტის განვითარების პერსპექტივებზე, რომელსაც აკრედიტებს ბანკი, და ა.შ. წამყვანი ბანკების რისკების მართვის პოლიტიკის ანალიზის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ საკრედიტო რისკის ხარისხი ძირითადად დამოკიდებულია ბანკების მიერ ორგანიზებულ საკრედიტო პროცესებზე. ამ პროცესების მთავარ მონაწილეებს, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვნად შეამცირონ საკრედიტო საქმიანობის რისკი, წარმოადგენენ ინსტრუმენტებისა და მეთოდოლოგიური დოკუმენტების ხელმისაწვდომობა, რომლებიც არეგულირებენ საკრედიტო ოპერაციებს; საანგარიშო პროცედურების შემუშავება, განაცხადების განხილვისა და კრედიტის გაცემის ნებართვის საფუძველზე, კლიენტ-მომხმარებლების საკრედიტო დოკუმენტაციის აუცილებელი მოთხოვნების განსაზღვრა, ეფექტური კონტროლის დაწესება გაცემულ სესხებზე და ხელმისაწვდომობა არსებულ წყაროებზე, რომლითაც უნდა მოხდეს სესხის დაფარვა; ბანკის ანალიტიკოსების განაცხადები და კლიენტების შესახებ ინფორმირებულობის მაღალი დონე.

¹⁵ Панова Г.С. Кредитная политика коммерческого банка. - М.: ИКЦ «ДИС», 2003. - 464с. [22, ст.87-96]

მიუხედავად 2008 წლის მსოფლიო კრიზისისა, საქართველოს ბანკებმა ოპერატიულად მოახდინეს რეაგირება ქვეყანაში გაუარესებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე და შეიმუშავეს მთელი რიგი ანტიკრიზისული ზომები. ამან ხელი შეუწყო რისკის დასაშვები დონის შენარჩუნებას და შესაძლო საბანკო დანაკარგების მინიმიზაციას.

ამის გარდა, ქართულმა ბანკებმა პრაქტიკულად გააგრძელეს პოლიტიკა არა მხოლოდ კულტურის სფეროში, არამედ რისკების მართვის პრინციპებში, რომელიც დაფუძნებული იყო ყველაზე საუკეთესო მსოფლიო პრაქტიკაზე, იმ მეთოდებითა და რეკომენდაციებით, რომელსაც გვთავაზობს ბაზელის კომიტეტი საბანკო ზედამხედველობის სფეროში.

თითოეული ბანკი განსაზღვრავს რისკების მართვის პოლიტიკას, რომელიც ადგენს ყველაზე მნიშვნელოვან მონაწილეებს და გამოყოფს ძირითად ფუნქციებს რისკების მართვის სისტემაში. ასე, რომ ბანკის მართვა ხდება საბჭოს დადგენილებით, იგი ამტკიცებს როგორც საბანკო რისკების მართვის პოლიტიკას, ისე იმ რისკების სხვადასხვა სახეობების მართვის პოლიტიკას, რომლებიც წარმოიქმნება კონკრეტულ სიტუაციაში. ბანკების უმრავლესობა რისკის ქვეშ მდგომ ოპერაციებზე ლიმიტს ადგენს ბანკის კომიტეტის საშუალებით აქტივებისა და პასივების მართვისას და ბანკის კომიტეტის დებულებით კრედიტებისა და ინვესტიციების საფუძველზე. დადგენილების ლიმიტებზე განცხადებები მზადდება განყოფილებებში, სადაც ხდება რისკებზე მონიტორინგი და კონტროლი, შემდეგ მიემართება განსახილველად მითითებულ ზედა კომიტეტებში.

2008 წლის კრიზისის პირობებში ერთ–ერთ საკვანძო ზომა, რომელიც მიმართული იყო საკრედიტო რისკების მართვის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად, გახდა კლიენტების ანალიზი და მათ დაკრედიტებაზე მიღებული გადაწყვეტილებები და შემდეგ სამუშაოს მონიტორინგი პრობლემურ ვალებზე. ასევე ბანკები ახდენენ არა მხოლოდ უშუალოდ საკრედიტო გარიგებებში მონაწილე პირების კრედიტუნარიანობის შეფასებას, არამედ გადახდისუნარიანობის კომპლექსურ ანალიზს კომპანიის ყველა ჯგუფის ბიზნესის სტაბილურობისთვის, რომლებშიც შედიან გარიგებაში მონაწილე პირები. ამასთან დადგენილი პრინციპით ახდენენ

დაკრედიტებას ლიმიტის ფარგლებში. ეს არა მხოლოდ კლიენტებთან დაკავშირებული რისკის შეზღუდვის საშუალებას იძლევა, არამედ ასახავს იმ პირობებს, რომლებშიც ბანკი მზადაა გადალახოს ეს რისკები.

3.2. საკრედიტო რისკის შეფასების ინსტრუმენტები

საქართველოს ცენტრალური ბანკის მონაცემებით საქართველოს საბანკო სისტემაში საკრედიტო რისკის წილი საერთო ამონაგებში წარმოადგენს 91,4% (მიმდინარე მონაცემებით)¹⁶, დანარჩენი 8,6% მოდის საბაზრო რისკებზე, რომლიდანაც 62,8%-ს შეადგენს საპროცენტორისკი.

საკრედიტო რისკი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც (ემიტენტის) მსესხებლების მხრიდან სესხის სრულად არ დაფარვის ანუ შეუსრულებლობის რისკი იმ ფინანსური აუცილებლობით დადგენილ ვადებში, რომელიც ხელშეკრულებითაა გაფორმებული, რომლის შედეგადაც ბანკი განიცდის ფინანსურ ზარალს.

საკრედიტო რისკების მართვა განისაზღვრება როგორც ერთ–ერთი სტრატეგია, რომელიც სრულდება საქმიანობის რეალიზაციისას რისკის პირობებში. თავის საქმიანობაში ეკონომიკური სუბიექტი არჩევანს აკეთებს - რისკიდან თავის არიდებას, რისკის აღებასა და რისკის მართვას შორის.

- ✓ რისკიდან თავის არიდება მის გამომწვევ მოქმედებაზე უარის თქმას ნიშნავს;
- ✓ რისკის თავისთავზე აღება ნიშნავს საქმიანობას იქამდე, სანამ რისკის წარმოქმნის დროს უარყოფითი შედეგები არ მიიყვანს სერიოზულ უცვლელ დანაკარგებთან;

- ✓ რისკების მართვა ნიშნავს შემდეგი ალტერნატივიდან ერთ–ერთის არჩევას: რისკის თავის თავზე აღება, იმ შეთავაზებულ საქმიანობაზე უარის თქმა, რომელიც რისკთანაა დაკავშირებული, ან იმ ზომების მიღება, რომლებიც ეხმარება რისკის ზომების შემცირებაში რისკის დონის წინასწარი ანალიზის საფუძველზე.

¹⁶ Ивлиев С. В. Исследование кредитного риска методом Монте- Карло, 2003. [18, pp. 56-84]

კომერციულ ბანკებში რისკის მართვისას მთავარია იმ ამოცანის გადაწყვეტა, რომელიც ბანკის წინაშე დგას, რომელსაც სასწავლო–ორგანიზაციული პროცედურების შემუშავებით ასრულებს, ხორციელდება რეგულარულად და ატარებს არგუმენტირებულ ხასიათს. ეკონომისტების უმრავლესობა, რომლებიც რისკების პრობლემატიკას შეისწავლიან, თავიანთ საქმიანობაში, რისკების მართვას განიხილავენ, როგორც კონკრეტული სახის საქმიანობას, რომელიც მოიცავს განსაზღვრული ეტაპების თანმიმდევრობას:

- რისკების იდენტიფიკაცია;
- რისკების შეფასება;
- რისკების არჩევის სტრატეგია;
- სხვადასხვა დონის რისკების შემცირების გზების შერჩევა დგამოყენება;
- რისკების კონტროლი;

თუ დავუშვებთ, რომ შესაძლებელია რისკის განულება რისკების მართვის მთავარ პირობად შეიძლება ჩაითვალოს მისი უარყოფითი გავლენის შეზღუდვა, ბანკის საკრედიტო ოფიცრები დგანან ამოცანის წინაშე, რათა შეზღუდონ დიდი მოცულობის დანაკარგები საკრედიტო რისკის რეალიზაციის პროცესში, რათა ბანკის დასაშვებ დონეს მიაღწიონ, რომელშიც უწყვეტ ფასის გადახდა კონკრეტული ამოცანის შესრულებისას.

ამიტომ კომერციულ ბანკებში საკრედიტო რისკის მართვა, რომელიც ბანკის ძირითად სამუშაოს წარმოადგენს საკრედიტო ოპერაციების რეალიზაციის პროცესში მოიცავს ამ სამუშაოს ყველა ეტაპს – დაწყებული პოტენციური კლიენტის სესხის განაცხადის ანალიზით, დამთავრებული ანგარიშების დახურვითა და დაკრედიტების შესაძლებლობის განხილვით.

იმისათვის, რომ გავიგოთ რამდენად მნიშვნელოვანია საკრედიტო რისკების მართვა კომერციულ ბანკებში საკრედიტო პროცესის ფარგლებში ყველაზე მთავარი ფაქტორია საკრედიტო პროცესების სტრუქტურა, როგორც საქმიანობის სახეობა, რომელიც ხასიათდება თავისი ინდივიდუალურობით. ბანკის განსხვავებული საქმიანობა საკრედიტო ოპერაციების განხორციელების პროცესში შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად: საკრედიტო რისკის შემადგენლობა და სტრუქტურა და

ის ფაქტორები, რომლებსაც მივყავართ ამ ტიპის საკრედიტო რისკის განხორციელებისკენ, სხვადასხვასამსახურეობრივი მოვალეობებით, რომლებსაც ასრულებენ ბანკის თანამშრომლები არსებული მრავალფეროვანი ობიექტების, ორგანიზაციის პრინციპებისა და მიზნების შესაბამისად.

საკრედიტო რისკის სტრუქტურა შედგება კონკრეტული მომხმარებლის (მსესხებლის) რისკისა და პორტფელის რისკისგან. საკრედიტო რისკის ფაქტორები შეიძლება ატარებდნენ შიდა და გარე ხასიათს ბანკთან დაკავშირებით. ფაქტორები, რომლებიც ატარებენ გარე ხასიათს, პირველ რიგში გარკვეული მიზეზით დაკავშირებულნი არიან საკრედიტო რისკის არსებობის შესაძლებლობებთან, რომელიც ბანკის პერსონალის სამუშაოსთან სრულებით არაა კავშირში. მომხმარებელმა შეიძლება კიდეც, არ დააბრუნოს კრედიტი, იმ დროსაც კი თუ ბანკის საკრედიტო განყოფილების თანამშრომლები კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ სამუშაოს და პირიქით, ფაქტორები, რომლებიც შიდა ხასიათს ატარებენ პირდაპირ დაკავშირებულნი არიან პერსონალის შეცდომებსა და ხარვეზებთან, რომლებსაც უშვებენ საკრედიტო დოკუმენტების გაფორმების პროცესში, მომხმარებლების (მსესხებლების) კრედიტუნარიანობის ანალიზისა და შეფასების დროს დაშვებული შეცდომები და უზუსტობები, რომლებიც გამოწვეულია სამუშაოს შეუსრულებლობებითა და ჩავარდნებით და იწვევს დაკრედიტების განხორციელებისას არსებული წესების დარღვევას.

საკრედიტო რისკების მართვა თანამედროვე კომერციულ ბანკებში ხორციელდება ცალკეული სპეციალიზირებული სტრუქტურული ერთეულის ჩარჩოებში. ამ განყოფილებას ძალიან ხშირად ემსახურება რისკის მართვის დეპარტამენტი, ჩართულნი არიან ორგანიზაციები და ხდება მათი მართვა და კოორდინაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიკაციას, ანალიზსა და რისკების მინიმიზაციას საბანკო საქმიანობაში და შემუშავებულია გარკვეული ტიპების რისკების შემცირების წესები ბანკის შიდა კონტროლის განყოფილების (შკგ) რეკომენდაციით.


საკრედიტო რისკების მართვის ორგანიზაცია შეიძლება წარმოვადგინოთ სქემების სახით, რომელიც ნაჩვენებია ნახაზი 3.2-ზე. აღნიშნული სქემის მიხედვით ბანკის საკრედიტო რისკის მართვის ორგანიზაცია რეგულირდება საკრედიტო რისკების

მართვის პოლიტიკით და იწყება საკრედიტო რისკის შესაძლო შემთხვევების გამოვლენის აღმოჩენით.

რისკ-მენეჯმენტის დეპარტამენტის თანამშრომლები განსაზღვრავენ რისკის ძირითად ფაქტორებს. შემდეგ საკრედიტო რისკის საფუძველზე, ასევე შიდა საბანკო დოკუმენტაციებით ხდება შეფასება, ამ შედეგების საფუძველზე ხდება ყველაზე შესაფერისი ინსტრუმენტების გამოვლენა რისკ-მენეჯმენტის დეპარტამენტის ექსპერტების მიერ, რომლის საშუალებითაც ხდება საკრედიტო რისკის მართვა.

ცხრილი 3.2-ში შესაძლებელია ვნახოთ, საკრედიტო რისკების მართვისას როგორ ხდება ორი სახის ინსტრუმენტის გამოყენება კომერციული ბანკების მიერ: კერძო სესხების საკრედიტო რისკის მართვის ინსტრუმენტები და საკრედიტო პორტფელის საკრედიტო რისკების მართვის ინსტრუმენტები. თითოეული აღნიშნული ჯგუფისთვის გამოყოფენ ინსტრუმენტებს, რომლებსაც შეუძლიათ თავიდან აიცილონ საკრედიტო რისკის ზრდის გამომწვევი მიზეზები და ინსტრუმენტები, რომლებსაც შეუძლია მიმდინარე საკრედიტო რისკების შედეგების მართვა. საკრედიტო რეიტინგი წარმოადგენს ფართოდ გამოყენებად და ყველაზე გავრცელებულ მეთოდს საბანკო პრაქტიკაში. ბაზელის კომიტეტის მეთოდისა. მოცემული მეთოდის ეფუძნება შეწონილი რისკების შეფასებას და ძირითადად სტანდარტულ სარეიტინგო შეფასების ალგორითმს.

ნახაზი 3.2. საკრედიტო რისკის მართვის ორგანიზაცია ბანკში¹⁷



¹⁷ მ. შიუკაშვილი „რისკების მართვა საბანკო სისტემაში“, თბილისი 2015, 129 გვ.;

პროფესიონალური სარეიტინგო სააგენტოების სისტემის განვითარებით ბაზელის მიდგომა თანდათან უფრო მისაღები ხდება:

1. მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული და მომგებიანი გარიგების წარმოების შესახებ.

2. კომერციულ ბანკებში საკრედიტო რისკებზე კონტროლი, რომელიც მოიცავს:

- სტრუქტურული ერთეულების კონტროლს, როგორცაა პასუხისმგებელი პირების თვითკონტროლი, ასევე სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელების კონტროლი;
- მთლიანად ბანკის კონტროლს. ის შეიძლება დავყოთ მიმდინარე შემდგომი რისკების კონტროლებად;
- გარე კონტროლი, რომელიც ხორციელდება ბანკის გარე აუდიტის ფარგლებში.

• საკრედიტო რისკების რეგულირებისა და მართვისას სხვადასხვა მეთოდების შესწავლითა და გამოყენებით შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ „საკრედიტო რისკების რეგულირების მეთოდები“ უნდა განიხილებოდეს ეკონომიკურ შესაძლებლობებთან და ორგანიზაციულ– სამართლებრივ ზომებთან ერთად, რომელიც უზრუნველყოფს კლიენტების ინტერესების (კრედიტორებისა და მსესხებლების) რეალიზაციასა და საკრედიტო რისკების თავიდან აცილებასა და მინიმუმამდე დაყვანას.

• შესაძლებელია საკრედიტო რისკების რეგულირების მეთოდების კლასიფიკაცია მათი წარმოშობის სფეროებიდან და იმ პროგრამებიდან გამომდინარე, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვყოთ საკრედიტო რისკების რეგულირების შიდა და გარე მეთოდები და დეტალურად ავღწეროთ ისინი საქართველოს საბანკო სისტემის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქ განსაკუთრებით საყურადღებოა არაპირდაპირი (ირიბი) მეთოდები: სადაზღვევო და საკონტრაქტო (ხელშეკრულებით გათვალისწინებული).

• საკონტრაქტო მეთოდის გამოყენება წარმოადგენს მსესხებლის შესახებ ინფორმაციის მიღებას (საკრედიტო ისტორიას) საკრედიტო ბიუროდან და სარეიტინგო სააგენტოდან. რა თქმა უნდა, ეს ყველაზე პერსპექტიულია რისკ–მენეჯმენტის განვითარებისას ქართულ ბანკებში, რამდენადაც პატარა და საშუალო

ბანკები წარმოადგენენ აბსოლუტურ უმრავლესობას საბანკო სტრუქტურაში და ბანკის თანამშრომლების პროფესიული უნარები ჯერ კიდევ არაა მაღალ დონეზე. საიმედო და კვალიფიციურ ინფორმაციაზე სრული წვდომა საკრედიტო რისკის მინიმუმამდე დაყვანის შესაძლებლობას იძლევა.

ცხრილი 3.2. საკრედიტო რისკის მართვისას გამოყენებული ინსტრუმენტები¹⁸

	საკრედიტო რისკის მართვის ინსტრუმენტები		საკრედიტორისკისმართვის ინსტრუმენტებისაკრედიტო პორტფელში	
რისკების გამოწვევი მიზეზების თავიდან აცილების (პრევენციის) ინსტრუმენტები	ხარისხის გაუმჯობესება, რომელიც მიმართულია მსესხებლის კრედიტუნარიანობისა და მისი ობიექტურობის ზრდისკენ: – კლიენტის კრედიტუნარიანობაზე ყურადღებით დაკვირვება, – საკრედიტო მონიტორინგი.		საკრედიტო გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესება: – ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა; – კვალიფიციური შემოწმება; – საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების მნიშვნელობის ზრდა; – დაკრედიტების პროცესის კონტროლი, საკრედიტო რევიზია	
რისკების შემოტევისას მართვის ინსტრუმენტების გამოყენება	დანაკარგების ზღვრის აქტიური ინსტრუმენტები: – რისკების შეზღუდვა; – რისკების გადაცემა; – რისკების დაყოფა.	ზარალის დაზღვევის პასიური ინსტრუმენტები: – რისკის გაანგარიშება საპროცენტო განაკვეთის დადგენისას.	აქტიური ინსტრუმენტები: – რისკების შეზღუდვა; – საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაცია – პრობლემური კრედიტების მართვა.	პასიური ინსტრუმენტები: – ლიკვიდურობის მარაგის ფორმირება; – საკრედიტო პორტფელის ხარისხის კონტროლი; – საკუთარი კაპიტალის მარაგის ფორმირება.

¹⁸ მ. შიუკაშვილი „რისკების მართვა საბანკო სისტემაში“, თბილისი 2015, 129 გვ.;

საკრედიტო რისკის მართვა საბანკო სექტორში შემდეგი პრინციპებით ხდება:

- შესაძლო დანაკარგების რაოდენობის ან ზარალის გამომწვევი სიტუაციების გაზომვა დაპროგნოზირება;
- რისკების ფინანსირებისთვის რეზერვის შექმნა, და ასევე მათი შემცირების ეკონომიკურისტიმულირება;
- მმართველებისა და თანამშრომლების პასუხისმგებლობა, რისკების მართვის პროცესების მკაცრად შერჩეული პოლიტიკა;
- რისკებზე დაწესებული კონტროლი ბანკის ყველა ქვედანაყოფებსა და მომსახურებაში, ეფექტიანობის პროცედურების მონიტორინგი.

ბანკებს ხშირად არ აქვთ სწორად შემუშავებული პროცესი, რომლებიც შეძლებენ საკრედიტო რისკების მართვას. ყველაზე ხშირად შემხვედრ ხარვეზებს შორის შეიძლება გამოვყოთ: წერილობით, დოკუმენტის ფორმით დაფიქსირებული პოლიტიკური განაცხადი; აუცილებელი შეზღუდვების ნაკლებობა კონცენტრირებულ პორტფელთან მიმართებაში; საკრედიტო ხელმძღვანელობის მხრიდან ზედმეტი ცენტრალიზაცია ან დეცენტრალიზაცია; ინდუსტრიული დაკრედიტების უხარისხო ანალიზი; კრედიტორების ზედაპირული ფინანსური ანალიზი; გირავნობის გადაჭარბებული ღირებულება; კლიენტებთან იშვიათი კონტაქტი; შემოწმების დაბალი ხარისხი და დაკრედიტების პროცესში დაბალანსების ნაკლებობა; სესხებზე არსებულ დოკუმენტაციაზე სათანადო კონტროლის ნაკლებობა; ნასესხები კაპიტალის გადაჭარბებული გამოყენება; არასრულყოფილი დოკუმენტაცია კრედიტებზე; აქტივების არა ზედმიწევნითი კლასიფიკაცია და რეზერვების ფორმირების პროცესში დაყენებული სტანდარტები კრედიტით გამოწვეულ ზარალზე კომპენსაციის მიღებისას; საკრედიტო პროცესების კონტროლისა და ეფექტური აუდიტის ჩატარების უცოდინრობა.

კომერციულ ბანკებში რისკების მართვის სტრატეგია აუცილებლად ეფუძნება ინტეგრირებულ სტრუქტურას, რომელიც უნდა შედგებოდეს მოვალეობებისგან და ფუნქციებისგან რომელიც ქვედა მიმართულებით ეშვება, მოიცავს რისკის ყველა ასპექტს, განსაკუთრებით საბაზრო და საკრედიტო რისკებს, ლიკვიდურობის, საოპერაციო და იურიდიულ რისკებს, ასევე რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ბანკის რეპუტაციასთან და მის პერსონალთან. ასეთი სტრუქტურა მოიცავს თვით

წესდებას საპასუხისმგებლო ორგანოს სახით, ბანკის სხვადასხვა კომიტეტს, რისკების მართვის განყოფილებას, სხვა მხარდამჭერ და საკონტროლო განყოფილებებს. ყველას ამათ აქვთ ნათლად განსაზღვრული ვალდებულებები და თანმიმდევრულად დალაგებული ანგარიშები. ბაზრების უმრავლესობაზე ბანკები იძულებულნი არიან იმქონდნენ იმ ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც თან ახლავს ობიექტური სირთულეები კრედიტების ხარისხიანი მართვისა და ანალიზის პროცესში, რაც ზედმეტად ხაზს უსვამს ასეთი სახის მართვის გავლენის აუცილებლობას.

საკრედიტო რისკს შეუძლია მნიშვნელოვანი ზარალი მოუტანოს კომერციულ ბანკს. ამიტომ ბანკების მხრიდან ხდება მოსალოდნელი ზარალის დაანგარიშება, რისთვისაც სხვადასხვა მეთოდები გამოიყენება. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

საკრედიტო რისკის მოდელირების თავდაპირველი მიზანი იყო კაპიტალის ისეთი მოცულობის შეფასება, რომელიც მაღალი სანდოობის დონით უზრუნველყოფდა ბანკის გადახდისუნარიანობას. ბაზელის რეგულატორული ჩარჩო ყოველთვის ფოკუსირდებოდა საკრედიტო რისკზე. ბაზელ I ჩარჩო პირობების მიხედვით, კაპიტალის მინიმალური დონე, რომელიც ბანკმა უნდა შეინარჩუნოს რისკების მიტიგაციისთვის არის რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 8%. რისკის წონა კი აქტივის კატეგორიის მიხედვით შემდეგნაირად განისაზღვრება:¹⁹

მსესხებლის კატეგორია	სახელმწიფო	ბანკი	იპოთეკური სესხები	კომპანიები და საცალო მომხმარებლები
რისკის წონა (%)	0	10	50	100

ბაზელის მოცემული მიდგომა გააკრიტიკეს სხვა ტიპის რისკების იგნორირებისა და საკრედიტო რისკისადმი ზედმეტად მარტივი მიდგომისათვის. საკრედიტო რისკის წონები თვითნებურად არის შერჩეული და არ გააჩნია სტატისტიკური დასაბუთება.

¹⁹ Basel Committee on Banking Supervision (1988), International Convergence of Capital Measurement and Capital Standards.

ამ ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, ბაზელის კომიტეტმა ბაზელ II ჩარჩო

გამოაქვეყნა. ბაზელ II პირველი პილარის მიხედვით, ბანკებს შეუძლიათ საკრედიტო რისკისადმი ორი მიდგომა გამოიყენონ, ესენია:

სტანდარტიზებული მიდგომა (Standardized approach) და შიდა რეიტინგებზე დამყარებული მიდგომა (IRB approach). სტანდარტიზებულ მიდგომაში სესხისათვის რისკის წონის მინიჭება ხდება როგორც სესხის კატეგორიის, ასევე საკრედიტო შეფასების გათვალისწინებით. შიდა რეიტინგებზე დამყარებულ მიდგომაში სესხისათვის წონის მინიჭება ხდება სპეციალური ფორმულის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს სესხის დეფოლტის ალბათობას და მსესხებლის აქტივების ღირებულების სენსიტიურობას ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ. ფორმულა დაფუძნებულია ვასიჩეკის ნაშრომზე.²⁰

საკრედიტო რისკის ერთ-ერთი ფორმაა პორტფელის კონცენტრაციის რისკი, რომელიც ბანკის მიერ ინდივიდებსა ან ეკონომიკის სექტორებზე სესხების არათანაბარი განაწილების შედეგად წარმოიქმნება. პორტფელის კონცენტრაციამ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენოს ბანკს. ამიტომაც, საჭიროა კონცენტრაციის რისკის გათვალისწინება ბანკის კაპიტალში. განასხვავებენ ორი ტიპის კონცენტრაციას: სახელობითი კონცენტრაცია (name concentration) და სექტორული კონცენტრაცია. სახელობითი კონცენტრაცია ინდივიდებზე სესხების არათანაბარი განაწილების შედეგად წარმოიქმნება. სექტორული კონცენტრაცია კი ეკონომიკის სექტორებზე სესხების არათანაბარი განაწილების შედეგია. გამოყენებულია ვასიჩეკის საკრედიტო რისკის მოდელი, რომელიც საშუალებას

გვაძლევს ერთი მხრივ, შევაფასოთ საკრედიტო პორტფელის დანაკარგის განაწილება დივერსიფიცირებული პორტფელისთვის, ხოლო მეორე მხრივ, მოვახდინოთ საკრედიტო დანაკარგების სიმულაცია კონცენტრირებული პორტფელისთვის. კონცენტრაციის საზომად ნაშრომში გამოყენებულია HHI ინდექსი.

ვასიჩეკის მოდელის მიხედვით მსესხებელი გადაფოლტდება იმ შემთხვევაში, თუ მისი აქტივების ღირებულება სესხის ვადიანობის დასასრულს ჩამოცდა სესხის ღირებულებას.

²⁰ CRISI, Global Research & Analytics, „Credit Risk Estimation Techniques”, 2015, p.31

მსესხებლის აქტივების ღირებულება შემთხვევითი პროცესია, რომელიც დამოკიდებულია შემთხვევით ცვლადზე X_i თავის მხრივ შემთხვევითი ცვლადი დამოკიდებულია მსესხებლისათვის დამახასიათებელ რისკ ფაქტორზე Z_i და ეკონომიკური მდგომარეობისათვის დამახასიათებელ საერთო რისკ ფაქტორზე Y . აღსანიშნავია, რომ Y არ არის ცალკე აღებული რომელიმე ეკონომიკური ინდიკატორი, არამედ არის რისკ ფაქტორი, რომელზეც სხვადასხვა ეკონომიკური

ინდიკატორი ახდენს გავლენას. დაშვების მიხედვით Z_i და Y სტანდარტულ-ნორმალურადაა განაწილებული. X_i , Z_i და Y ცვლადებს შორის დამოკიდებულება შემდეგი ფორმით ჩაიწერება:

$$X_i = \rho \sqrt{\sigma} Z_i + \sqrt{1-\rho} \epsilon_i$$

ρ ცვლადი გვიჩვენებს მსესხებლის აქტივების დამოკიდებულების დონეს საერთო რისკ ფაქტორზე. რაც მეტია ρ , მსესხებლის აქტივები უფრო მეტად სენსიტიურია საერთო ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ.

საბოლოოდ, გაკოტრების ალბათობა (მოცემული Y -ის პირობებში) შემდეგი ფორმულით გამოისახება:

$$P(Y) = N \left[\frac{N^{-1}(\rho) - Y \sqrt{\rho}}{\sqrt{1-\rho}} \right]$$

სადაც, p -სესხის საშუალო დეფოლტის ალბათობაა, N - კი კუმულატიური განაწილების ფუნქციას აღნიშნავს. ფორმულა გვიჩვენებს, რომ Y -ის ზრდა დეფოლტის ალბათობას ამცირებს, რაც ლოგიკური შედეგია, რადგან Y ის ზრდა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ასახავს.

იმავე მოდელში გამოყვანილია დივერსიფიცირებული პორტფელის ზარალის განაწილების ფუნქცია, საიდანაც ნებისმიერი q პროცენტილი შეიძლება გამოვთვალოთ შემდეგი ფორმულით:

$$z^q = \frac{\sqrt{\rho} N^{-1}(q) + N^{-1}(q)}{\sqrt{1-\rho}}$$

ეს ფორმულა გამოყენებულია ბაზელ II IRB მიდგომაში. ფორმულით შესაძლებელია დავითვალოთ საკრედიტო პორტფელის მოულოდნელი ზარალი. თუ ბანკი ინარჩუნებს მოულოდნელი ზარალის მოცულობის კაპიტალს მისი დეფოლტის ალბათობა არ აღემატება 0.01%. იგულისმება, რომ მოსალოდნელი ზარალი გათვალისწინებულია სესხების ფასდადებაში.²¹

საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციით გამოწვეული დამატებითი მოულოდნელი ზარალი დაითვლება, როგორც სხვაობა კონცენტრირებული პორტფელის მოულოდნელ ზარალსა და დივერსიფიცირებული პორტფელის მოულოდნელ ზარალს შორის. დადგენილია, რომ ამ სხვაობის შეფასება ფორმულის სახით ზუსტად ვერ მოხდება,²² ამიტომაც საჭიროა მონტე-კარლოს სიმულაციის მეთოდი. კონცენტრაციის საზომად გამოყენებულია HHI ინდექსი, რომელიც დაითვლება, როგორც პორტფელის თითოეული სესხის წილის კვადრატის ჯამი. ინდექსი მოთავსებულია 0-სა და 1-ს შორის. კონცენტრაციის ზრდა იწვევს HHI ინდექსის ზრდას. HHI ინდექსის დათვლის შემდეგ, სიმულაციით დაითვლება კონცენტრირებული პორტფელის საკრედიტო დანაკარგის 99.9 პროცენტილი. ამავდროულად IRB ფორმულით დაითვლება მსგავსი მახასიათებლების მქონე დივერსიფიცირებული პორტფელის 99.9 პროცენტილი. მათ შორის სხვაობა გვამღევს პორტფელის კონცენტრაციით გამოწვეულ დამატებით მოულოდნელ ზარალს.

საკრედიტო რისკის შეფასებისთვის იყენებენ ასევე Value-at-Risk (VaR) მეთოდოლოგიას. Value-at-Risk - ეს არის დანაკარგების საბაზო ვალუტაში გამოხატული სიდიდის შეფასება, რომელიც მოცემული ნდობის ალბათობით არ გადააჭარბებს პორტფელის დანაკარგებს დროის მოცემული პერიოდის განმავლობაში:

$$P\{ [Loss] \leq VaR\} = p$$

სადაც $Loss_p$ - პორტფელის დანაკარგების ზომაა,

P - მოცემული ნდობის დონე.

²¹ Basel Committee on Banking Supervision (2005), An Explanatory Note on the Basel II IRB Risk Weight Functions

²² Basel Committee on Banking Supervision (2006), Studies on credit risk concentration

VaR მნიშვნელობების გამოთვლის დროს ძირითადი ელემენტებია ნდობის დონე და დროის ინტერვალის სიდიდე, რომელზეც აითვლება მოცემული მაჩვენებელი. ნდობის დონე შეირჩევა რისკთან შეფარდების მიხედვით ან რეგლამენტირდება მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დროით ჰორიზონტთან ძალიან ხშირად გამოიყენებენ დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაში საკრედიტო პორტფელს არ შეხებია არსებითი ცვლილებები.


საკრედიტო რისკის რაოდენობრივი შეფასების მისაღებად აუცილებელია აიგოს განსახილველი საკრედიტო პორტფელის დანაკარგების განაწილების ემპირიული ფუნქცია და გამოითვალოს VaR მნიშვნელობა, როგორც მოცემული ხარისხის კვანტილი.

ჩვენს დროში გამოყოფენ VaR გამოთვლის ყველაზე გავრცელებულ და პრაქტიკაში გამოყენებულ მეთოდს: ანალიზურს, ისტორიული მოდელირებისა და მონტე-კარლოს სტატისტიკური ცდების მეთოდებს.

VaR მეთოდოლოგიის საფუძველზე საკრედიტო რისკის ცნება შეიძლება წარმოვადგინოთ, როგორც გასაანალიზებელი საკრედიტო პორტფელის შესაძლო დანაკარგები მოცემული ნდობითი ალბათობის დონისთვის. მაქსიმალური დანაკარგები იყოფა: მოსალოდნელ დანაკარგებად (Expected Loss, EL_p), მოულოდნელ დანაკარგებად (Unexpected Loss, UL_p) და პორტფელის დანაკარგებად. (ნახაზი 3.3.):

$$VaR^\alpha = \text{Expected Loss} + \text{Unexpected Loss}$$

მოსალოდნელი დანაკარგები ასახავენ საკრედიტო დანაკარგების საშუალო დონეს, რომლებიც დაკავშირებულია მსესხებელთა მიერ ხელშეკრულებით დადგენილი საკუთარი ვალდებულების შეუსრულებლობასთან. მოულოდნელი დანაკარგები შეიძლება წარმოვადგინოთ, როგორც დანაკარგების გადახრები მათი საშუალოდ ნავარაუდები მნიშვნელობიდან. მოსალოდნელი და მოულოდნელი დანაკარგების გამოთვლა წარმოადგენს მთავარ ამოცანას პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასების დროს.



ნახაზი 3.3. საკრედიტო პორტფელის დანაკარგების განაწილება²³

მოსალოდნელი დანაკარგები (Expected Loss) - ესაა დანაკარგების მათემატიკური მოლოდინი კონტრაგენტის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. მოსალოდნელი დანაკარგების გამოთვლა ყველა მსესხებლისთვის საკრედიტო პორტფელში ხდება შემდეგი ფორმულით:

$$EL_p = \sum_{i=1}^N ((1 - PD_i) * 0 + PD_i * CE_i * (1 - RR_i))$$

$$EL_p = \sum_{i=1}^N (PD_i * CE_i * (1 - RR_i)) \quad (13)$$

სადაც PD_i (probability of default) i -მსესხებლის დეფოლტის დადგომის ალბათობაა, ე.ი. იმის ალბათობა, რომ კონტრაგენტი არ შეასრულებს საკრედიტო ხელშეკრულების ყველა პირობას შეთანხმებულ და დადგენილ ვადებში.

CE_i (credit exposure) - დეფოლტის დადგომის მომენტში რისკის ქვეშ მყოფი აქტივების ღირებულებაა.

RR_i (recovery rate) - დანაკარგების ანაზღაურების დონე, ანუ დავალიანების წილი, რომლის დაბრუნებაც შესაძლებელია მსესხებლის დეფოლტის შემთხვევაში, გარანტიების შესრულების, გირაოს რეალიზაციის და სხვა გზებით.

²³ ლ. ლავგილავა „საქართველოში მოქმედი ბანკების საკრედიტო დანაკარგებისა და პორტფელის კონცენტრაციის რისკის შეფასება“, თბილისი 2015, ტომი 3, #2, 82-89 გვ.;

მოსალოდნელი დანაკარგების დონის განსაზღვრის მთავარი ამოცანაა ყოველი მსესხებლის მოსალოდნელი დეფოლტის შეფასება. ამ პრობლემამ თავისი ასახვა ჰპოვა მრავალ გამოკვლევაში, რომლებიც ეყრდნობოდნენ დისკრიმინაციულ ანალიზს, „ლოგიტ“ და „პრობიტ“ მოდელებს. ნეირონულ ქსელებს, სარეიტინგო სისტემებს და ა.შ. შეიძლება გამოიყოს PD_i-ის შეფასების ორი ეტაპი.

საწყის ეტაპზე ბანკი სხვადასხვა საკრედიტო ოპერაციების ირგვლივ შეგროვილი სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე ხდება იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებიც გავლენას ახდენენ ალბათობაზე, რომ მსესხებელი კრედიტს არ დააბრუნებს. ასეთ შემთხვევაში მოცემულ ეტაპზე კვლევის ინსტრუმენტად გვევლინება რეგრესიული ანალიზი. ამის შემდეგ აიგება „ლოგიტ მოდელი“ ყოველი მსესხებლის დეფოლტურობის დამოკიდებულებისა მსესხებლის მახასიათებლებზე, რომლებიც არსებობს კონკრეტული კომერციული ბანკის მსესხებლების დეფოლტურობის საბაზო მონაცემებში. მეორე ეტაპზე ხდება მეთოდის შერჩევა, რომლის გამოყენების დროს ჩატარდება ყოველი მსესხებლის დეფოლტის ალბათობის შეფასება.

მოსალოდნელი დანაკარგები (Unexpected Loss) წარმოადგენენ გადახრას მოსალოდნელი საშუალო დანაკარგების სიდიდეებიდან და განსაზღვრავენ პორტფელის საკრედიტო რისკის დონეს. მოსალოდნელი დანაკარგების გამოთვლა ხდება შემდეგი ფორმულით:

$$\text{Unexpected Loss} = \text{VaR}^\alpha - \text{Expected Loss}$$

საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციების შესაბამისად VaR-ის გამოსათვლელად, ჩვეულებრივ, ამოირჩევა საიმედოობის დონე, რომელიც ტოლია 99%-ის. VaR გამოთვლის დროით ჰორიზონტად საკრედიტო პორტფელებისთვის, ძირითადად, მიღებულია ერთი წელი.

როგორც ვხვდებით, საკრედიტო რისკების მართვა ბანკების რისკ მენეჯმენტის მთავარი შემადგენელი ნაწილია. ამიტომ უამრავი მეთოდი და მოდელია შემუშავებული საკრედიტო რისკის შეფასების, მართვის და მისი შემცირებისათვის.

3.3. საკრედიტო რისკების მართვის მეთოდების გაუმჯობესების გზები

საქართველოს საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია, ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის მიღწევაში. იგი გარდა იმისა, რომ უდიდეს ზეგავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის შემდგომ განვითარებაზე, ამასთანავე გულისხმობს: კაპიტალის საკმარისობის გაძლიერებას, აქტივების ხარისხის ამაღლებას, რისკების მართვის თანამედროვე პრინციპების დანერგვას, ლიკვიდობის, დეპოზიტების დაზღვევის უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობების შექმნის და საბანკო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობას.

საკრედიტო სექტორში არასასურველი რისკებისაგან საიმედო დაცვისა და მდგრადობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია, საბანკო რესურსების განვითარებისა და შიდა საბანკო საქმიანობის ფაქტორების შეფასება.

დაკრედიტების სრულყოფისათვის აუცილებელია რისკების მართვის სტრატეგიის შემუშავება. რისკების კლასიფიკაციაში საბანკო საქმიანობის პრიორიტეტული რისკების და ნაკლებად მნიშვნელოვანი რისკების გამოყოფა, რომლებიც დაეყრდნობა მსესხებლის კრედიტუნარიანობის შესწავლასა და შეფასებას, ერთ მსესხებელზე გასაცემი კრედიტის მოცულობის განსაზღვრასა და კრედიტის დაზღვევას.

საკრედიტო რისკები წარმოადგენენ რა ლიკვიდობის, საპროცენტო, საბაზრო და გადახდისუუნარობის რისკებთან ერთად პრიორიტეტული რისკების სახეებს, მათი ანალიზი უნდა დაემყაროს:

- კრედიტის მიზნის დადგენის საფუძველზე რისკის შეფასებას;
- სესხის დაფარვის წყაროების ანალიზს;
- მსესხებლის, ფულადი ნაკადებისა და საკრედიტო პორტფელის ანალიზს;
- პორტფელური ინვესტიციების მართვის მდგომარეობის, მისი ლიკვიდობის მხარდაჭერისათვის გამოყენებას.²⁴

²⁴ ნ.გრიგალაშვილი „საბანკო დაკრედიტების სისტემის სრულყოფის გზები საქართველოში“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2011, 130 გვ.

დაკრედიტების სრულყოფის ერთ-ერთ მიმართულებად მიგვაჩნია დაკრედიტების ლიმიტების დადგენა - საკრედიტო პორტფელის ფორმირების კონტროლის ძირითადი ხერხი (მეთოდი), რომელიც გამოიყენება რისკების შემცირებისათვის, გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის. ეს ბანკებს საშუალებას აძლევს:

- გადახდისუნარიანობის შენარჩუნებისათვის რისკის ნებისმიერი სახის გაუთვალისწინებელი კონცენტრაციისგან, კრიტიკული დანაკარგებისგან თავი დააღწიოს;
- საკრედიტო პორტფელის დივერსიფიცირება, მოახდინოს კონცენტრაციის შემცირებისა და სტაბილური მოგების უზრუნველყოფის მიზნით;

ლიმიტები შესაძლოა დადგენილ იქნეს ნორმატივების სახით ან აბსოლუტური ზღვრული სიდიდებით.

რისკის შეფასებისა და პროგნოზირების მიზნით ბანკი ახდენს მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასებას, საკრედიტო რისკის გაზომვას, მის პროგნოზირებას და საკრედიტო პორტფელის შეფასებას. შემცირების მიზნით კი - ბანკებმა ღრმად უნდა შეისწავლონ პოტენციური კლიენტები და ბანკის პოტენციური თანამშრომლები. საკრედიტო რისკის შემცირების მიზნით საჭიროა ასევე მოხდეს მსესხებლის გადახდისუნარიანობის ანალიზი, შეიქმნას რეზერვები და განხორციელდეს აქტივების დივერსიფიკაცია.

საკრედიტო რისკის მართვის ეფექტიანი სისტემის არსებობა კონკრეტული ბანკისათვის თავისთავად პრობლემის გადაწყვეტის ეფექტური საშუალებაა, მაგრამ ამასთან ერთადერთი და მნიშვნელოვანია ძირითადი შემავალი ინფორმაციის სიზუსტე, სწორი შეფასება, დასკვნების გამოტანა და შესაბამისი პროცედურების თანმიმდევრულად შესრულება.

საკრედიტო რისკის მართვის სისტემის ძირითადი ელემენტებია: საკრედიტო საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა; საკრედიტო შეთავაზების შეფასება და მსესხებლის კრედიტუნარიანობის ანალიზი; კრედიტების რანჟირება საკრედიტო რისკის დონის (რეიტინგის დადგენა) და დადგენილ ლიმიტებთან შესაბამისობის მიხედვით; საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა კრედიტების მიხედვით, შესაძლო დანაკარგების გათვალისწინებით; საკრედიტო გადაწყვეტილების მიღებისას

უფლებამოსილების განაწილება - კრედიტების ავტორიზაცია; საკრედიტო მონიტორინგი; საკრედიტო პორტფელის მართვა და პრობლემური კრედიტების აღდგენა.

საკრედიტო რისკის, მართვის ეფექტიანი სისტემის შექმნის, ძირითად ფაქტორად ითვლება დაკრედიტების ერთიანი კულტურის განვითარება, სტანდარტული ინსტრუქციის დანერგვის გზით ინიცირებისათვის, ანალიზისათვის, გადაწყვეტილების მიღებისა და ცალკეული კრედიტების მონიტორინგისათვის. საკრედიტო პორტფელის მართვა - უმაღლესი ხელმძღვანელობის ფუნქციაა, რომელიც მოითხოვს არსებული რისკის ყველა სახის გამოვლენას და იმ მაქსიმალურად დასაშვებ დონის განსაზღვრას, რომელიც ბანკს შეუძლია მიიღოს. დაკრედიტების ერთიანი კულტურის განვითარების ფარგლების, ერთნაირი საკრედიტო ინსტრუქციების და რისკის მართვისადმი მიდგომების დანერგვა, რისკის დასაშვები დონის განსაზღვრა წარმოადგენს ოფიციალურად დამტკიცებული საკრედიტო პოლიტიკის ელემენტებს.

დასკვნა

საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ურთულეს და აუცილებელ სფეროს წარმოადგენს, რომელიც განვითარების თავისებურებებით ხასიათდება და მთლიანად ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობას განსაზღვრავს. ამავ დროს, საბანკო სისტემა, გარკვეული აზრით, ცალკე ავტონომიური „სამყარო“, რომელსაც განვითარების საკუთარი სპეციფიკური კანონზომიერებები ახასიათებს.

საბანკო სისტემა, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის აუცილებელი ატიბუტია, რომლის შექმნა და წარმატებული ფუნციონირება ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პირველივე დღეებიდან, გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორად იქცა. აღნიშნულის დასტურია ის, რომ საბანკო სისტემის საშუალებით ქვეყანაში შესაძლებელია: ეროვნული მეურნეობის სფეროების ეფექტური განვითარება; ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა; ქვეყნის ფულად-საკრედიტო ურთიერთობების რეგულირება; დაკრედიტების მეშვეობით ბიზნესის

ხელშეწყობა, რაც თავისთავად მოსახლეობის დასაქმებას და, შესაბამისად, სიღარიბის აღმოფხვრას უწყობს ხელს.

თანამედროვე გლობალურ მსოფლიოში, როდესაც ფინანსური კრიზისი გამძაფრებულია, ეკონომიკის დაკრედიტებასთან ერთად წინა პლანზე იწევს საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფის საკითხები.

საკრედიტო ორგანიზაციის საფინანსო მდგრადობა წარმოადგენს კომპლექსურ მაჩვენებელს, რომელიც ასახავს ბანკის საიმედოობის მაჩვენებელს გარე ზეგავლენების მიმართ. ის მოიცავს ბანკის, როგორც საბანკო სისტემის ელემენტის მდგომარეობის შემდეგი მაჩვენებლების შეფასებას: კაპიტალის სტრუქტურა და მისი საკმარისობა რისკების დასაფარავად, ბალანსის ლიკვიდურობის დონე, აქტივების სტრუქტურა და ხარისხი, რისკების მართვის პოლიტიკა (გათვალისწინებული რისკების სტრუქტურა, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცედურა), რისკ-მენეჯმენტის ორგანიზების ხარისხის კონტროლი.

რისკის მართვა წარმოადგენს რისკის განსაზღვრის, შეფასების, მონიტორინგის და რისკის მისაღებ დონეზე შენარჩუნების მიზნით საჭირო კონტროლის ღონისძიებების გატარების პროცესს, რომელიც გავლენას ახდენს ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების მიღწევაზე და გულისხმობს საჭირო ღონისძიებების განხორციელებას რისკების შემცირების მიზნით.

რისკის მართვა წარმოადგენს ერთიან, უწყვეტ და განვითარებას პროცესს, რომელშიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობას იღებს ორგანიზაციის თითოეული თანამშრომელი.

რისკის მართვა წარმოადგენს ორგანიზაციის სტრატეგიული მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს.

რისკის მართვის მთავარი ამოცანაა მოახდინოს რისკების იდენტი- ფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით შესაძლებელია გამოვლენილ იქნეს პოტენციური დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს ორგანიზაციის საქმიანობაზე. რისკის მართვა ეხმარება და აძლიერებს ორგანიზაციას, უზრუნველყოფს რა მისი ამოცანების ეფექტურად შესრულებას.

რაც შეეხება საკრედიტო რისკს, მას თამამად შეიძლება ეწოდოს ბანკების „მთავარი რისკი“. კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა საკრედიტო რისკების შესაძლებლობის მინიმუმამდე დაყვანას უნდა ითვალისწინებდეს. ამავე დროს, რამდენადაც ნაკლებია რისკის დონე, ბუნებრივია, იმდენად შეიძლება ნაკლები იყოს ბანკის მოგება, რადგანაც ბანკი მაღალ მოგებას, ჩვეულებრივ, მაღალრისკიანი ოპერაციებიდან ღებულობს. ბანკმა უნდა დაადგინოს მისი ყველა პროდუქტისა და საქმიანობისთვის დამახასიათებელი საკრედიტო რისკი. ბანკმა ასევე უნდა გაუწიოს მონიტორინგი საკრედიტო რისკის შესაბამისობას დადგენილ ლიმიტებთან, რომლის დროსაც ფაქტობრივი საკრედიტო რისკი უნდა შედარდეს საკრედიტო რისკის მიმართ დაწესებულ ლიმიტებთან.

ნაშრომში წარმოდგენილია საკრედიტო რისკების შეფასების ინსტრუმენტები და შემოთავაზებულია რამდენიმე მოდელი, რომელიც აქტიურად გამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგების შეფასებისთვის.

შემოთავაზებული მოდელებით გამოთვლილი მაქსიმალური დანაკარგების სიდიდე გამოყენებულ უნდა იქნეს ორიენტირად იმისთვის, რომ შეიქმნას რეზერვები, სესხების შესაძლო დანაკარგების გათვალისწინებით და ბანკის საიმედოობის დონის შესანარჩუნებლად.

კვლევისას გამოვლენილ იყო, რომ საკრედიტო რისკის მინიმიზაციისთვის აუცილებელია მსესხებლის ობიექტური მდგომარეობის შეფასება, კონკრეტული მსესხებლის უნარი - დააბრუნოს მისთვის გადაცემული სესხი დროის მითითებულ პერიოდში. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ ფაქტორებს - მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობას, მათ მიერ სესხის მომსახურებასა და კრედიტის უზრუნველყოფას. მნიშვნელოვანია სხვა ფაქტორებიც, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს კერძოდ, ეს არის მსესხებლის დარგობრივი კუთვნილება, კონკურენტობის განვითარების საერთო დონე, მსესხებლის დამოკიდებულება მომწოდებლებზე ან სახელმწიფო მხარდაჭერაზე.

ნაშრომში განხილულია საზედამხედველო ორგანოს მოთხოვნები, რომელსაც ის უყენებს კომერციული ბანკებს საკრედიტო რისკების მართვის კუთხით.

საკრედიტო რისკების და ზოგადად რისკების ეფექტურად სამართავად

აუცილებელია დავეყრდნოთ სამეცნიერო შრომებს, ვიცოდეთ ცნობილი მეთოდების კომბინირება, სრულყოფა და მათი გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში. მნიშვნელოვანია, რომ საკრედიტო რისკების მართვის სიტემა იყოს გამჭვირვალე, პრაქტიკული და შეესაბამებოდეს კომერციული ორგანიზაციის სტრატეგიულ მიზნებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვლ. ასათიანი, გ. ცაავა „კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი“ (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა). - თბილისი: გამომცემლობა „დანი“, 2014. – 483 გვ.
2. რ. ბერიძე „საბანკო მენეჯმენტი“ თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009-452 გვ
3. მ. ვანიშვილი, ი. ფიჩხაია, ზ. ფიჩხაია „საფინანსო-საბანკო სტატისტიკა“ (ლექციების კურსი). - თბილისი: გამოცემლობა „დანი“, 2009. - 326 გვ.
4. ა. ინგოროყვა, გ. ცაავა „ფინანსური მენეჯმენტი“ - თეორია, მეთოდები და პრაქტიკა, ტომი I, (სახელმძღვანელო), ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ფინანსების მართვა. - თბილისი, გამომცემლობა „გრაალი“, 2011.- 462 გვ.
5. ა. ინგოროყვა, გ. ცაავა „ფინანსური მენეჯმენტი“ - თეორია, მეთოდები და პრაქტიკა, ტომი II „საწარმოს ფინანსების მართვა“ - თბილისი: გამომცემლობა „გრაალი“, 2011. – 602 გვ.
6. რ. კაკულია, გ. ხელაია „ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია“ თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2000. – 458 გვ.
7. ი. კოჭანაძე, გ. კონტრიძე „თანამედროვე საბანკო საქმე“- თეორია და პრაქტიკა. სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა შპს „სეზანი“, 2014. – 426 გვ.
8. ო. ლავრუშინი „საბანკო საქმე“ თბილისი გამომცემლობა „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გამომცემლობა“, თბილისი 1996. - 226 გვ.;

9. ვ.მოსიაშვილი, მ.ჭელიძე „საბანკო საქმის საფუძვლები“ სახელმძღვანელო. - თბილისი: გამომცემლობა „დანი“, 2013. – 423გვ.10.
10. საქართველოს ეროვნული ბანკი. წლიური ანგარიში. 2016: https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2016/annual_report_2015.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -03.04.2019.
11. საქართველოს ეროვნული ბანკი. 2006-2017 წლების წლიური ანგარიშები: <https://www.nbg.gov.ge>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.05.2018 .
12. საქართველოს ეროვნული ბანკი. 2007-2016 წლების წლიური ანგარიშები: <https://www.nbg.gov.ge>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.04.2017.
13. ლ. ქოქიაური - ფინანსები, განმარტებითი ენციკლოპედიური ლექსიკონი, წიგნი 1-2 - თბილისი : გამომცემლობა „უნივერსალი“, 2016. – 509გვ.
14. გ.ცაავა და გ.ხანთაძე საბანკო საქმე (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014. - 600 გვ.
15. გ.ხანთაძე, გ.ცაავა საბანკო ოპერაციები (სახელმძღვანელო). - თბილისი: გამომცემლობა შპს „წიგნის სახელოსნო“, 2013. - 400 გვ.
16. Ивлиев С. В. Исследование кредитного риска методом Монте- Карло, 2003. [18, pp.56-84];
17. Панова Г.С. Кредитная политика коммерческого банка. - М.: ИКЦ «ДИС», 2003. - 464с. [22,ст.87–96];
18. Basel Committee on Banking Supervision (1988), International Convergence of Capital Measurement and CapitalStandards;
19. Basel Committee on Banking Supervision (2005), An Explanatory Note on the Basel II IRB Risk Weight Functions;
20. Basel Committee on Banking Supervision (2006), Studies on credit risk concentration;
21. CRISI, Global Research & Analytics, „Credit Risk Estimation Techniques“, 2015,p.31;
22. Spendzharova A.B., „The Limits of Counter-cyclical Bank Regulation: Managing

- the Credit Booms in Central and Eastern Europe after EU Accession”, Spain 2014,
23. www.bibliotekar.ru უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.05.2019.
 24. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33304>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -23.05.2019.
 25. <https://www.cfin.ru> , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 21.05.2019.
 26. <https://www.nbg.gov.ge> და www.inf.org, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -23.05.2019.
 27. <https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/ications/nbg7.9.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -23.05.2019.
 28. https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/nbglow/new/komerციული_bankebis_shesaxeb_kanoni.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -23.04.2019.
 29. <http://www.sabanko.com/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.06.2019

